ოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი 31 აგვისტო 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგ ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почт. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 185 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 185

ედა ქრისტინე ჟორდანიასი, ძმა ნოე ჟორდანია და მეუღლე ვასილ კანდელაკი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულ

**გულჩინა კანდელაკისა**

დანიშნულია ლანჩხუთში კვირას, 1 სექტემბერს (ახ სტ). (2—2)

ხაშურის კოოპერატიული საზოგადოების „ცხოვრება"ს გამგეობა და მოსამსახურენი განუსაზღვრელი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს გამგეობის წევრის ამხანაგ

**ეგნატე მაქსიმეს ძე ჯიგლაძის**

უდროოთ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა მგზავრობის დროს მიმდინარე წლის 27 მარიამობისთვეს. (2—1)

## ქართული უნივერსიტეტი

### ეროვნულ საბჭოს გადაწყვეტილებით აგვისტოს 27 გამოცხადდა:

### ფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტათ"

ვე არსებულ სიბრძნის მეტყველების (საისტორიო საფილოლოგიო) ფაკულ ს ენკენისთვიდან ემატება სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტები.

სტუდენტებათ მიიღებიან: 1) ყოველგვარი ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში სდამთავრებულნი, 2) ყოველგვარი ტიპის საშუალო სასწავლებლებში კურს თავრებულნი: ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, რეალური, საკომერციო, სამიწის მელო და სააგრონომიო, საეპარქიო და წმ. ნინოს სასწავლებლები, სამასწავ ბლო და ქალთა ინსტიტუტები, კადეტთა კორპუსი, სასულიერო სემინარიები თლმადიდებელთა (ოთხი კლასი) და გრიგორიანთ და სამასწავლებლო სემინა ები (1918 წელზე უფრო ადრე კურსდამთავრებულნი მხოლოდ სიბრძნის მე ელების საპედაგოგიო და საფსიქოლოგიო დარგზე მიიღებიან).

სტუდენტათ ჩასარიცხავათ საჭიროა: 1) თხოვნა უნივერსიტეტის გამგეობის ელობაზე (უნდა აღნიშნული იყოს ფაკულტეტი და მთხოვნელის მისამართი); მოწმობა განათლების ცენზის შესახებ (დროებით შეიძლება დედნის მაგივრად ი გამოიგზავნოს ნამეტურ ფოსტით) და 3) მეტრიკული მოწმობა.

მსმენელად ჩაწერისათვის განსაზღვრული ცენზი სავალდებულო არ არის და პირთაგან საკმარისია მხოლოდ თხოვნისა და სწავლის ფულის შემოტანა.

სწავლის ფული ყველასთვის (სტუდენტებისა და მსმენელთათვის) სემესტრში ი. ნახევარი წლისა) ათი თუმანია, რომელიც თხოვნასთან ერთად უნდა იქმნეს მოტანილი.

უნივერსიტეტის კანცელარია ღიაა საღამოს 6—8 საათამდის, გარდა კვირა ეებისა.

თხოვნების მიღება ენკენისთვის ბოლომდის; სწავლის დაწყება 1 ოქტომბერს. ფოსტით: თფილისი, ვაკე, თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

(3—1) **უნივერსიტეტის გამგეობა.**

## ესტის ხელშეკრულობის გარშემო

ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულობის ასინჯვის შესახებ ამ ჟამად ბევრს პარაკობენ.

რუსეთის სოციალისტ - იმპერიალის ბს დიდი უტოპიური იმედები ებადე ა და გონიათ, თითქოს დასახელებულ ლშეკრულობის ხელ-ახალი გადასინჯ რუსეთს ძველი სიძლიერით და გა რთოებული ტერიტორიით აღადგენ .

აერთაშორისო დემოკრატია ბრესტის შეკრულებას მუდამ და ყოველთვის ხთისათვის სავალალო ხელშეკრულებათ ჩასთვლის და ამ „სიკეთეს" ბოლ იკებს დავთარში ჩაუწერს.

„ძმობილებითა" და ფრონტზე მომქ ი ჯარების სახლისაკენ გაწვევით დე კრატიული ზავი არას დროს არ ჩა ვარდნილა და მეომართა შორის სა ლიო ზავი არ შეკრულა. ეს მხოლოდ ქსიზმის ნიადაგს მოშორებულ ბოლ იკებსა და მათ ამყოლ დამყოლ მე ვიკებს სოციალისტ რევოლიუციონე ბს ეგონათ.

„ძმობილებით" საპატიო ზავის ჩა გდება თვით ძველ ინტერნაციონალ ც იყო დაგმობილი და ამ საშვალე არა მარქსისტები [illegible].

დღეს მსოფლიო იმპერიალისტური ი და თითოეული მეომარი სახელმ ო იარაღით იკაფავს გზას. სათავე კაპიტალისტთა კლასის მთავრო ი დგანან და თოფით და მახვილით ა ახალი ბაზრების შეძენა. ეს კაპი ლისტური მეომარი სახელმწიფო გა ის გამარჯვებული, რომელიც მეტი ძალის უნარით არის აღჭურვილი. აქ ტიმენტალობას, გრძნობა-შებრალებას გილი არა აქვს და გამარჯვებული სა მწიფო დაპყრობითი პოლიტიკაზე ლს არ აიღებს.

ვროპის იმპერიალისტურმა სახელ ფოებმა ახალი ბაზრების შეძენა და ლი საზღვრების გამოჭრა მთავარ ნათ დაისახეს და ამ მიზნის განხორ ლება უპირველეს ყოვლისა წვრილ ერებისა და განუვითარებელ სახელმწიფოების ხარჯზე მოხდა და მოხდება.

ამ ჟამად საშვალო ევროპის კოალიცია აღმოსავლეთისაკენ გამარჯვებულია. განსაკუთრებით გერმანიამ განახორციელა თავისი დიდიხნის ისტორიული მისწრაფება. ახალი და შორეულ აღმოსავლეთის ტერიტორიაზე ფეხის მოკიდება და აქ სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცება უკვე ფაქტათ გადაიქცა. ის, რაც ბისმარკის საოცნებო საგანს შეადგენდა, ამ მსოფლიო ომის დროს სისრულეში იქნა მოყვანილი. გერმანიამ ბალტიის ზღვა შავ-ზღვას გადააბა, აღმოსავლეთისაკენ გზა გაიკაფა და აქ ერთი უმთავრეს მეტოქეთაგანი—რუსეთი ბრესტის ხელშეკრულების ძალით სრულიად ჩამოიშორა.

ჯერ კიდევ სამოციან წლებში გერმანიის იმპერიალისტების არქი-იდეოლოგი გერმანიის აღმოსავლეთისაკენ გაწევა-გაფართოვებას მოითხოვდა და ოკეანეს იქით მდებარე კოლონიების შეძენას პესიმისტურათ უყურებდა: ჩვენ ხმელეთის სახელმწიფო ვართ და ხმელეთით აღმოსავლეთისაკენ უნდა გავძლიერდეთო.

მხოლოდ იმპერატორი ვილჰელმ მეორე ძლიერი ფლოტის შექმნას მოითხოვდა, ამ ფლოტის შემწეობით ცდილობდა ატლანტიისა და დიდ ოკეანეს იქით მდებარე ადგილებში ბაზრების გაჩენას.

მაგრამ სინამდვილემ, თანამედროვე მსოფლიო ომის მსვლელობამ ბისმარკი გაამართლა და გერმანიის იმპერიალისტებს აღმოსავლეთისაკენ გაძლიერების ნატვრა სინამდვილეთ გადაექცა.

ბრესტის ხელშეკრულებამ გერმანიის იმპერიალისტებს ხელ-ფეხი გაუხსნა და მათ საშუალება მიეცათ თავიანთი ინდუსტრიისთვის საჭირო მშრალი მასალის—ბამბა და საზოგადოთ კოლონიალური საქონლის შეძენის საჭიროება აქეთ დაეკმაყოფილებინათ. არსებულმა ურთიერთობამ ამ გარემოებას დიდათ შეუწყო ხელი: ინგლისის გვერდში ამოუდგა ოკეანეს იქით მდებარე ინდუსტრიული სახელმწიფოები—როგორიც არის ამერიკა-იაპონია და ეს სამი კოალიცია ატლანტისა და ოკეანეს ზღვის გარშემო მდებარე კოლონიების ბატონ-პატრონებად გამოდიან.

ამიტომაც არის, დღეს გერმანიაში ძლევა მოსილი იმპერიალისტები საჯაროთ გაიძახიან: ჩვენ უნდა გავნთავისუფლდეთ ამერიკის დამოკიდებულებისაგან და ჩვენი ინდუსტრიისათვის საჭირო ნედლი მასალა აღმოსავლეთისაკენ უნდა ვეძიოთო. ამიერ კავკასია, სპარსეთი, თურქესტანი და საზოგადოთ აზიის ტერიტორია უნდათ თავიანთ ეკონომიური გავლენის ქვეშ დააყენონ და შეიძინონ ის, რაც მათ ინდუსტრიის მთავარ დარგებს სჭირია.

ფაქტიურათ, ვიმეორებთ, გერმანიამ შესძლო ზღვით დასახელებულ ტერიტორიებთან დაახლოვება. მათ ზღვითა და ხმელეთით დაუახლოვდა. ეჭვს გარეშეა ამ ერთმა დაახლოვებამ ყველაზე მეტათ რუსეთის სახელმწიფო დააზიანა და მას ზღვა და ხმელეთი წაართვა. ამას აშკარათ ამტკიცებს ბრესტის ხელშეკრულება.

უდიდესი რუსეთი ტერიტორიებითა და ზღვით შემცირდა და მას არც შავსა და არც ბალტიის ზღვაზე გასავალი არა აქვს. ეჭვს გარეშეა, ასეთ პირობებში რუსეთის ჩაყენება, რუსეთის მომავალ მრეწველობა-აღებმიცემობის სრული შევიწროება იქნება და რუსეთის ხალხი მუდამ უკმაყოფილო იქნება, გერმანიასთან მტრული განწყობილება ექნება.

ამ გარემოებას, თავისთავად საგულისხმოა, გერმანიის იმპერიალისტები ანგარიშს გაუწევენ და შესაძლებელია ბრესტის ხელშეკრულება ოდნავ რუსეთის სასარგებლოთ შეიცვალოს, რომ მას ზღვაზე გასავალი მიეცეს, მაგრამ ერთი მთავარი პირობით: თუ გერმანიას შერჩა აწმყო ძლევამოსილება, ის არას გზით არ დასთმობს აღმოსავლეთის მთავარ პოლიტიკას და რუსეთს ამიერ კავკასიაში, სპარსეთში და თურქესტანში ბატონობის უფლებას არ მისცემს. ეს გერმანიის მთავარი მიზანია და ამ მიზანზე ვიდრე მას ძალა ხელთ აქვს, არავის დაუთმობს. გერმანიის ისტორიული მისია აღმოსავლეთში რუსეთის შესუსტება, მისი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის საზღვრის დადებაა.

## იაფ-ფასიანი მთავრობა

იაფ-ფასიანი მთავრობა ყოველი რევოლიუციონური მთავრობის ლოზუნგი ყოფილა. ბიუროკრატიული სახელმწიფოებრივი აპარატი, მისი მრავალი და უსარგებლო დაწესებულებანი გაუქმებულა და მართვა-გამგეობა ფართო დემოკრატიულ ნიადაგზე მომხდარა.

მონარქიული რეჟიმი, მისი სისტემა ასეთ უვარგის და უმნიშვნელო დაწესებულებებზე ყოფილა დამყარებული და ეს მექანიზმი მძიმე ტვირთად აწვა სახელმწიფოებრივ ფინანსებს.

მაგრამ ჩვენში რევოლიუციის გამარჯვებამ დასახელებული სისტემა, პარაზიტული, უნაყოფო ბიუროკრატიული მართვა-გამგეობა მოშალა და იგი ახალ ნიადაგზე დაამყარა.

გაუქმებულმა მონარქიზმა დაგვიტოვა მრავალი შენობები, მრავალი სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი—თავიანთ მოწყობილება მორთულებით; განსაკუთრებით თფილისში.

დასახელებული ქალაქი მთელი კავკასიის ადმინისტრატიული და მილიტარისტული ცენტრი იყო. აქ იყო მოთავსებული მთელი კავკასიისთვის საჭირო ბიუროკრატიული მართველობანი. ძველ მთავრობას ქონდა დიდი მასშტაბით მოწყობილი საკუთარი შენობები, საკუთარი ფუფუნებით გამართული კაბინეტ-მისაღებები. იგი უმთავრესათ გარეგნულ გრანდიოზობაზე ამყარებდა თავის ავტორიტეტს და ამის გარშემო ხარჯავდა სახელმწიფოს დიდძალ ქონებას.

მაგრამ დემოკრატიული ქართველობის გამარჯვებასთან ერთათ დაეკარგა ძველ ბიუროკრატიულ დაწესებულებას თავისი შინაარსი და გარეგნული სახე. შტატები და ქართველობის სისტემა გამარტივდა. ძველი დაწესებულებანი გაუქმდა, და მის ადგილს დროს შესაფერი დემოკრატიული ორგანოები განმტკიცდა.

მიუხედავათ ამისა, ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი, სამინისტროები და დირექტორიები სახელმწიფოებრივ შენობებში არ არიან მოთავსებული და მათ კერძო ბინები უჭირავთ. ამ ბინების სიძვირის ხანაში საქართველოს რესპუბლიკის ისედაც ღარიბ კასას მძიმე ტვირთად აწვება და სახელმწიფო ხარჯები იზრდება.

ეკონომია და რესპუბლიკის გასავლის რაციონალურათ შემცირება ჩვენი დემოკრატიული მთავრობის მოვალეობაა და იგი მუდამ უნდა ცდილობდეს, რომ სახელმწიფოს ზედმეტი და უსარგებლო ხარჯები მოაშოროს. თფილისში იმდენი სახელმწიფო შენობებია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ყველა ცენტრალური დაწესებულებანი თამამათ მოთავსდება შიგ.

აქ მხოლოდ გაბედული და მოსაზრებული ნაბიჯი უნდა გადაიდგას. დაუყოვნებლივ უნდა იქნას დაკავებული სახელმწიფოებრივი შენობები და აქ-იქ დარჩენილი გაუქმებულ დაწესებულებათა მოხელეები დათხოვნილი. ამასთან ბინების სიმცირე და სივიწროვე მხედველობაში იქნას მიღებული და დაწესებულებები ეკონომიურათ უნდა გაინაწილონ.

ამ გარემოებით მრავალი ბინები, რომლებიც კი სახელმწიფო დაწესებულებებით არიან დაკავებული, განთავისუფლდებიან და იგი მოქალაქეთ მიეცემათ დასაბინავებლათ. შენობების ეკონომია, სახელმწიფო დაწესებულებების სახელმწიფო სახლებში რაციონალურად მოთავსება—ღარიბ რესპუბლიკის ფინანსებს დიდ ეკონომიას მისცემს და მოქალაქეთაც საშვალება მიეცემათ განთავისუფლებულ ბინებს თავი შეაფარონ.

## პრესა

მთავარი საკითხი, რომელიც მოსვენებას არ აძლევს ჩვენში დარჩენილ რუსობას, ეს ენის საკითხია.

ადევნებ რა თვალყურს იმ გაზეთებს, სადაც ამ ხალხის ზრახვებია გამომჟღავნებული, ასეთ დასკვნებს ღებულობ: უკეთუ რუსული ენა იქნება შენახული, რუსი მოხელეები არ იქნებიან დათხოვნილნი, მათ საწინააღმდეგო არც კი ექნებათ რუსეთისაგან გამოყოფვისა.

ამიტომ იყო, რომ რუსობას ისეთ ბოროტებათ არ მიუღია ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობა, როგორც ეს შემდეგ მოხდა—საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის ცალკე რესპუბლიკებათ გამოცხადების დროს.

ამიერ კავკასიის ერთ რესპუბლიკად არსებობის დროს მათ იმედი ჰქონდათ, რომ საერთო ენად ისევ მათი კულტურული ენა—რუსული დარჩებოდა.

რუსული „სოციალ დემოკრატი" ბევრს სწერს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს რუსული ენის სწავლება ქართულ სკოლებში, რა უპირატესობა აქვს ამ ენას სხვა ენებთან. „აუცილებლათ საჭიროა რუსული გაკვეთილების გამრავლება, კარგი პედაგოგების გამონახვაო და სხვა". მაგრამ ნუ თუ შეიძლება წარმოიდგინა იმის, რომ ადგილობრივათ დარჩენილ რუს-მასწავლებლებში აღარ მოიპოვებიან ის აღმზრდელნი ან მათი თანამგრძნობნი, რომლებიც ქართულ ენას—„ძაღლურ ენას" უწოდებდენ?

ჩვენ ვამბობთ ამ მიმართულების ხალხი ჯერ კიდევ მრავლათ მოიპოვებიან ჩვენში, დადიან ერთი რესპუბლიკიდან მეორეში და ერთგვარ პროვოკაციის ქსელს აბამენ.

რა დარჩენიათ მათ სხვა გზა?

რომ ამ გზით სიარულს ეს ხალხი თავს არ ანებებს,—ამის მაგალითს რუსული „ედინენიე" გვაძლევს.

ერთ წერილში ადარებენ ერთმანეთს სამ რესპუბლიკას, გაყვანილია მათ შორის პარალელები.

„ფრიად კონსერვატორი, ნახევრად ფეოდალურ ადერბეიჯანს, ძლიერი ბეგები და ბნელი მასსით სურს შეინარჩუნოს ეკონომიური სიძლიერე და გააუქმოს რევოლიუციის მონაპოვარი... ადერბეიჯანში უკვე აღადგინეს ძველი ადმინისტრატიული დაწესებულებები. სახელმწ. აღმაშენებლობის სფეროშიაც ადერბეიჯანი მონარქიისკენ მიისწრაფვის, ის ოსმალეთისკენ იხრება, მაგრამ სხვა ერის ხალხთადმი, განსაკუთრებით წინანდელ მათ ბატონ-პატრონ რუსებისადმი, მოთმინებას იჩენენ, მათ იტანენ. კიდევ მეტი. მოწადინებული არიან შეინარჩუნონ რუსი მოქალაქენი რაც შეიძლება ბლომათ, ახლებიც მიიზიდონ, ვინაიდან ადერბეიჯანი ღარიბია ინტელიგენტურ ძალებით, ამიტომ ადერბეიჯანს არ აქვს გამჯდარი ნაციონალიზაციის ციებ-ცხელება, არ ჩქარის „გაათათროს" სკოლა, სასამართლო, ფოსტა, ტელეგრაფი და სხვა სახელმწიფო დაწესებულები".

სომხეთში ხომ საქმე უკეთესადაა გაზეთის თქმით.

„სომხეთის რესპუბლიკა საქმეს შეუდგა წმინდა დემოკრატიული ნაბიჯებით და არა დეკლარაციებით. ჯერ კიდევ მოსული არ იყო სატახტო ქალაქში სომეხთა ეროვნული საბჭო, რომ მისმა თავმჯდომარემ ა. საჰაკიანმა განუცხადა რუს მცხოვრებთა წარმომადგენლებს—რომ სომხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ერები ყოველგვარი უფლებებით იქნებიან აღჭურვილნი და ნუ დასტოვებთ სომხეთსო. სომხეთის პრემიერ-მინისტრმა კაჩაზნუნიმ პირველსავე სხდომაზე განაცხადა, რომ სომხეთის რესპუბლიკა ყველა იქ მცხოვრებ ერთა სამშობლოაო. ეს კიდეც დამტკიცდა შემდეგ: 5 მუსულმანი, 1 რუსი და 1 იეზიდი გაიყვანეს საბჭოში, 2 პორტფელი მინისტრისა მუსულმანებს შეაძლიეს. სომხეთი არ იჩქარის ნაციონალიზაციის მოხდენას, არც ფიქრობს ამის შესახებ. სატახტო ქალაქის საბჭოში ენათა თანასწორობაა, საქმის წარმოება კი რუსულ ენაზე დარჩა, ყველა ღირსეული რუსი „ჩინოვნიკები" ადგილებზე იქნენ დატოვებული" და სხ. და სხ.

ასე არ იქცევა გაზეთის სიტყვით საქართველოს რესპუბლიკა. გაზეთი ჩამოსთვლის ყველა იმ ნაკლთ, რაც ღირსებათ აქვს ჩაწერილი ადერბეიჯანს და სომხეთს.

ასე რომ, ერთად ერთი აუტანელი ქვეყანა ამიერ კავკასიის რესპუბლიკებში რუსებისთვის ყოფილა საქართველო!..

თუ რა არის ამის მიზეზი, ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

ამავე დროს ეს ხალხი ბევრს სწერს და ლაპარაკობს ერთა თვით-გამორკვევაზე, დემოკრატიულ პრინციპებზე და სხვა ასეთ მცნებებზე.

რა მნიშვნელობა აქვს ყველა ამათ, თუ დემოკრატია თავის მშობლიურ ენაზე ვერ ილაპარაკებს დაწესებულებებში?..

როგორ ესმის ამ ხალხს ერთა თვითგამორკვევის პრინციპი?..

## შენიშვნები

### (ნ. ჟორდანიას მოხსენების გამო).

ლიბერალური მწერლების თეორიებს დიდი გასავალი ჰქონდა მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნოებში. მართალია, უკანასკნელ დროს პოლიტიკაში ისინი უფრო და უფრო ჰკარგავენ ნდობას, მაგრამ ბევრი მათი შეხედულება დღესაც მრავალ დამცველს და მომხრეს პოულობს თვით დემოკრატიულ წრეებშიაც კი.

ასეთია მათი დოქტრინა, მაგალითად, სახალხო წარმომადგენლობაზე.

ლიბერალები არ უარყოფენ, რომ ხალხი უნდა იყოს თავისი ბედის ბატონ-პატრონი, მაგრამ დასძენენ, რომ ხალხს არ შეუძლია, არ ეხერხება თავისი საქმეების გაკეთება, ამიტომ ამას მის წარმომადგენლებს ანდობსო.

პარლამენტი ერის წარმომადგენელია, პარლამენტის სურვილი და ნება ერის სურვილი და ნებაა.

ამრიგათ პარლამენტი ერის განსახიერებაა. პარლამენტს შეუძლია სთქვას—„ერი მე ვარო" სწორედ ისე, როგორც ლუი მე XIV ამბობდა „სახელმწიფო ეს მე ვარო".

აქედან პარლამენტს თვითმპყრობელობამდე ერთი ნაბიჯია. პარლამენტს ისეთი იარაღი აქვს ხელში, რომელიც სხვა სახელმწიფოებრივ ბრძანებლობის უმაღლეს ორგანოებთან უპირატესობას აძლევს მას. ასეთია ხარჯთაღრიცხვის საქმე: საკმარისია უბრალო მუქარა პარლამენტის მხრივ, თუ ჩემ სურვილს გადახვალ წლიურ ბიუჯეტს არ დავამტკიცებო, რომ აღმასრულებელმა ძალამ ქედი მოიხაროს მის წინაშე;

პარლამენტს შეუძლია ახალი კანონით თავის სურვილისამებრ მოაწყოს ყველაფერი, რაც კი რჩება ძირითადი კანონების გარეშე.

ისიც თავის იარაღს მოხერხებულათ ხმარობს, თავის გავლენას აფართოვებს, ყველასა და ყველაფერს თავის სურვილებს უმორჩილებს, და თუ სახელმწიფოში არ იქნება ძალა, რომელსაც შეეძლება პარლამენტის ნებისთვის საზღვარის დადება, მაშინ სადაა თავდები იმის, რომ თვით პარლამენტი არ შეიქნება ხალხის უფლებათა უზურპატორი, ხალხის მტარვალი.

პარლამენტის თვითნებობაც ისეა შესაძლებელი და საშინელი, როგორც დესპოტიზმი რომელიმე დიქტატორის, ან ტირანის.

ისტორიამ ასეთი მაგალითი იცის.

და საჭირო შეიქნა პარლამენტის ძალა-უფლების საზღვრების აღნიშვნა თეორიაში და პრაქტიკაში.

„სუვერენიტეტის წარმომადგენლობა შეუძლებელია, შეუძლებელია მისი გადაცემაც—ამბობს ჟ. ჟ. რუსსო.

სუვერენიტეტი, არსებითად, საერთო ნებისყოფაა და როგორც ასეთი ის ან თავის თავად უნდა დარჩეს, ან სრულიად მოისპოს—აქ საშუალო მდგომარეობა არ არის..

ინგლისის ხალხს თავი თავისუფლად მიაჩნია, მაგრამ სასტიკად სცდება: ის თავისუფალია პარლამენტის წევრის არჩევის დროს, მაგრამ ამ უკანასკნელის არჩევისთანავე ის იქცევა მონათ და არარათ...

ხალხის მიერ დაუმტკიცებელი კანონი უძალოა—ის სრულებითაც არაა კანონი"...

ამ რიგათ წარმომადგენლობითი მართველობა თავისთავად ვერ უზრუნველყოფს ხალხის თავისუფლებას, პირიქით შეიძლება პარლამენტის რეჟიმი ისეთივე აუტანელი გახდეს ხალხისთვის, როგორც თვითმპყრობელობა.

საკანონმდებლო ორგანოს ყოვლისშემძლეობა იქ აშკარავდება, სადაც პარლამენტარიზმი დამყარებულა. აქ უნდა შევნიშნოთ ერთი რამ: თუ რომელიმე სახელმწიფოში კანონმდებლობის საქმე პარლამენტის ხელშია, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ იმ სახელმწიფოში უსათუოდ პარლამენტარიზმიც იყოს. მაგალითად, კარგი თუ საბრალო, მაგრამ რუსეთში პარლამენტი იყო (სახელმწიფო სათათბირო, სახელმწიფო საბჭო), პარლამენტარიზმი კი არა. სწორედ ასე, გერმანიასაც პარლამენტი აქვს, მაგრამ იქ პარლამენტარიზმი დიახაც რომ არ არის.

პარლამენტარიზმი (პარლამენტარული, ანუ კაბინეტური მართვა გამგეობა) ეწოდება ერთნაირ განწყობილებას მთავრობასა (მინისტრები) და პარლამენტს შორის.

პარლამენტარიზმის ქვეყნებში (ინგლისი და მისი კოლონიები, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები, იტალია, ავსტრია, ვენგრია, შვეცია, ნორვეგია და სხ.) მთავრობა—მინისტრები—პარლამენტის უმრავლესობიდან ირჩევა; ის პასუხის მგებელია პარლამენტის წინაშე, სათავეში უდგას სახელმწიფოს მანამდე, სანამ უმრავლესობა მას მხარს უჭერს და უნდა გადადგეს, რა წამსაც უმრავლესობა გადაუდგება.

პირიქით, სადაც პარლამენტარიზმი არ არის, იქ საკანონმდებლო ორგანო, რომლის უმრავლესობაც არ ემხრობა მთავრობას, თვით იძულებული ხდება დაიშალოს, ყველა შემთხვევაში მის მიერ უნდობლობის გამოცხადება მთავრობისადმი იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ უკანასკნელი უნდა წავიდეს.

1863 წ. ლანდტაგმა ბისმარკს უნდობლობა გამოუცხადა, მაგრამ პასუხად მიიღო: „ჩვენ მისი უდიდებულესობის მეფის მინისტრები ვართ და არა თქვენიო".

პარლამენტარიზმის ქვეყნებში კი, შეგვიძლია ვსთქვათ, მინისტრები „მისი უდიდებულესობის პარლამენტის მინისტრები არიან".

ნ. ჟორდანიამ თავის მოხსენებაში პარლამენტის „თვითმპყრობელობა" მოიხსენია.

თავისუფლებას საფრთხე მოელის ყოველგან, სადაც ეს თვითმპყრობელი არ არის თვით ხალხი. პარლამენტარულ რეჟიმში კი საქმე ისე მოჭახრაკებულა, რომ ერი მონარქის თვითმპყრობელობიდან ჯერ მისულა პარლამენტის თვითმპყრობელობამდე, იქიდან კი რამდენიმე კაცის, კაბინეთის (მინისტრთა საბჭოს) თვითმპყრობელობამდე.

აი რას ამბობს ერთი მწერალი ინგლისზე, ამ პარლამენტარიზმის სამაგალითო ქვეყანაზე: „აქ კანონის ხელშია

ის უდიდესი მორალური ძალა, რომელსაც იურისტები სახელმწიფოს სუვერენიტეტს ეძახიან, სამოქალაქო საქმეებში მაინც.. კაბინეტის ძალა განისაზღვრება მხოლოდ იმით; რაც საზოგადოთ ადამიანთა ძალას აღემატება, სხვა საზღვრები მან არ იცის“...

ამბობდენ—ინგლისის პარლამენტი მამაკაცს დედაკაცათ ვერ გადაქმნის და პირიქით, თორემ სხვა ყველაფრის გაკეთება შეუძლიაო. თურმე თითქმის იგივე ითქმის დღეს კაბინეტზე.

„კაბინეტი მოქმედობს არა საქვეყნოთ, განაგრძობს აღნიშნული მწერალი: ის თავს არ იბოჭავს ფორმალური მხარეებით, მას არ აქვს განსაზღვრული და მტკიცე საქმის წარმოების წესი... დრო გამოშვებით შეიკრიბება რამოდენიმე კაცი და სწყვეტს იმ უზარ მაზარ და რთულ ორგანიზმის ბედს, რომელსაც ბრიტანიის იმპერია ეწოდება და რომელიც რამოდენიმე ას მილიონ მცხოვრებს შეიცავს“...

აქ დიდათ გადაჭარბებულათ არ არის წარმოდგენილი კაბინეტის ძლიერება.

რა შორს არის ყველა ეს დემოკრატიზმისაგან!

ლიბერალური მწერლები თავისუფლების იდეალათ სახავენ პარლამენტარიზმის ქვეყნებს.

რასაკვირველია, იმ ქვეყნის მართვა-გამგეობას, სადაც მთავრობა არაფერში და არავისთან პასუხს არ აგებს, პარლამენტარიზმი სჯობია. ზოგიერთ შემთხვევაში იქნებ ის დემოკრატიამ მიიღოს, ან კიდევ სისხლიც დაღვაროს მისთვის, მაგრამ პარლამენტარიზმი დემოკრატიის იდეალათ ვერ გადაიქცევა: ის, როგორც სთქვა მომხსენებელმა, არ აძლევს მას პოლიტიკურ თვითმართველობას.

ალფა ციხკარიძე.

# ერობა

### 4) ერობის კომპეტენცია.

რამდენათაც ესა თუ ის ცნება მართლათ გამოხატავს თავის შინაარსს იმდენათ ის მეცნიერულია. ერობის შინაარსი, რომ გავიგოთ ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ მისი უფლება-მოსილება.

ძველი წესწყობილების დროს ჩვენ გვქონდა ორნაირი გადასახადი: სახელმწიფო და საერობო. ჩვენ არ გვქონდა ერობა, მაგრამ საერობო გადასახადს კი ვიხდიდით, სად მიდიოდა ეს გადასახადები?—უმთავრესად ამ შემოსავლით ინახავდენ კავკასიის ადმინისტრაციას და ჩაფრებს (земская стража)—ძლიერ მცირე ნაწილი ზოგიერთ გზებზე იხარჯებოდა. რას აკეთებდა ადმინისტრაცია, ეს ჩვენ ვიცით. თუ როგორ იფლანგებოდა გზების შესაკეთებელი თანხა, არც ეს არის ჩვენთვის უცნობი. მოიგონეთ გუბერნატორი სლავოჩინსკის პასუხისგებაში მიცემა 80 ათასი მანეთის გაფლანგვისათვის. ეს საერობო გზის შესაკეთებლად გადადებული თანხა იყო. ადგილობრივათ სკოლებ ს გაჩენა და მოვლა, გზებისა და ხიდების გაკეთება, ჭაობების გაშრობა—მიწის ნიადაგის გასუქება, ჯანმრთელობაზე ზრუნვა, საავათმყოფოს მოწყობა, მეურნეობა მრეწველობის აყვავება და სხვა ამგვარი საკითხები უნდა შეადგენდეს ერობის უმთავრესს საზრუნავ საგანს.

დროებითი დებულების განმარტების თანახმათ ერობის კომპეტენციაში შედის ყველანაირი საერობო ბეგარა, საერობო თანხა და ქონება, სურსათის საქმის მოწესრიგება, ხმელეთის და წყლის გზების გაყვანა და შენახვა—ბილაზებისა და წყლის სანაპიროების გაკეთება, ფოსტისა და ტელეფონის მოწყობა და შენახვა—წყლის ჭურჭლებით და გემებით მიმოსვლის მოწყობა. საავადმყოფოებისა, სამკურნალოებისა და აფთიაქების გაკეთება უკურნებელ ავადმყოფთა, ჭკუა, მახინჯთა და ობოლთა თავშესაფარის გაშენება და მოვლა. ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, კარგი სანიტარული პირობების შექმნა—ნათესის და ჰირნახულების გამანადგურებელი ჭია-კალიების წინააღმდეგ ბრძოლა. ცეცხლის მქრობელ რაზმის შედგენა და ამ უბედურებისა და წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლა. პირველ დაწყებითი და სხვა ადგილობრივ პირობებისათვის საჭირო ტიპის სკოლების გახსნა და მათი მოვლა-პატრონობა, სკოლის გარეშე განათლების საქმის მოწყობა, სამკითხველოებისა და წიგნთ-საცავების გახსნა-შენახვა. ლექციების მოწყობა. ძველი ისტორიული ნაშთების მოვლა პატრონობა. მრეწველობის და სასოფლო წარმოების ასამაღლებლათ ყოველნაირი ზომების მიღება, წყალთა საქმეების გამგეობა. საზეითუნო ზომების მიღება: სასაკლაოს აშენება, კარგი ჯიშის საქონლის მოშენება, წვრილი საკრედიტო ამხანაგობების და შემნახველ-გამსესხებელი კასების მოწყობა, სასოფლო ბანკების გახსნა და კოოპერაციის სხვადასხვა დარგთა მოწყობა. მცხოვრებთადმი იურიდიული დახმარების მიწოდება. შრომის დაცვა, საზოგადო სამუშაოების მოწყობა, საფეიქროების გამართვა, საშუამავლო კანტორების გახსნა უმუშევართათვის და მათი [illegible] სტატისტიკური გამოკვლევა, გადმოსახლებულთა ინტერესებზე ზრუნვა-საზოგადო და საპირადო ინტერესების დამცველი. წესების ცხოვრებაში გატარება. მილიციის გამგეობა, სახელმწიფო, სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა გამოწვეულ ვალდებულებ თა დაკმაყოფილება და სხვა მრავალი.

აი ყველა ის საქმეები რომელნიც შედიან ერობის კომპეტენციაში, მაგრამ ასეთს რთულ ვალდებულებას ხომ განსაკუთრებული საშუალებანი ესაჭიროება? საიდან, როგორ, რა წყაროთი უნდა მოიხადოს ერობამ ეს ვალდებულებანი? ამაზე გვიპასუხებს შემდეგი წერილი.

ვ ღ.

# დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

29 აგვისტო.

**ბერლინი.** სამხედრო მოხსენება. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის და გენ. ბოინას ჯარი დილა ადრიან არრასის სამხრეთ-აღმოსავლეთით ინგლისელებმა შეტევა იწყეს, მაგრამ უნაყოფოდ. სკარპისა და ზინზიბახს შუა მოწინააღმდეგე ხუთჯერ მოვიდა იერიშით, მაგრამ ჩვენმა ჯარებმა ხუთჯერვე უკუაგდეს. ბრძოლა სწარმოებდა ბუარი-ნოტრ-დამის გარშემო. საღამოთი ახალი იერიშით მოწინააღმდეგემ ეს სოფელი აიღო. ნუაიონის სამხრეთ დასავლეთით ფრანგთა ჯარებმა მოიტანეს იერიშები. ეს ქალაქი ცეცხლქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ მოწინააღმდეგე იძულებული იყო დიდი დანაკლისით უკან დაიხია. პასიკოფვთანაც ჩვენმა კავალერიამ მოიგერია მტრის იერიშები; ბევრი ჯავშნოსნები დავუხვრიტეთ.

**ვენა.** სამხედრო მოხსენება. იტალიის ფრონტი. ბიზუკსა და ზიინბეგმის ულელტეხილზე სწარმოებს მზვერავთა პატარ-პატარა შეტაკებები.

**ვენა.** ურიკ'ა და ფოუზის და აგრეთვე ტომორის მთების სამხრეთ ნაწილებში მტერმა დაიკავა ახალი პოზიციები.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. ჩვენმა მარჯვენა ფრთამ იერიშები მიიტანა მოწინააღმდეგეზე. ამის შემდეგ მტერმა ზოგიერთ განაპირა ადგილებში საარტილერიო მოქმედება გააძლიერა. იორდანის აღმოსავლეთ ნაპირზე სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. 25 აგვისტოს ბირ-ხერმასთან, გეჯანის რკინის გზის პირდაპირ, შეტევა მოვიგერიეთ.

**აფრიკის ფრონტი.** 11 აგვ. იტალიელების ჯგუფობრივი თავდასხმა მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე ახალი არაფერია.

უკანასკნელათ მიღებული ცნობით, მოწინააღმდეგის ერთი აეროპლანი, რომელმაც 27 და 28 აგვისტოს ყუმბარები ჩამოყარა სტამბოლში ჩვენი არტილერიის მიერ ჩამოგდებულ იქმნა. აეროპლანი დაიწვა; დაჭრილია ავიატორი, ინგლისელი კაპიტანი, ტყვედ წამოვიყვანეთ.

**პარიზი.** უკანასკნელ დღეებში კარგ შედეგიან ბრძოლას ვაწარმოვებდ თ. ფრანგების ჯარმა აიღო კვენსის ტყე კოუილი და ბოტინას ჩრდილო-აღმოსავლეთით. ჩრდილოეთით ბრძოლა ჩვენს სასარგებლოდ სწარმოებს. ფრანგების ჯარმა აიღო ნუაიონი და წინ წაიწიეს აპრინკურტის მიდამოებამდე. ნუაიონის აღმოსავლეთით ფრანგები გამაგრდენ; რამოდენიმე ასეული ტყვეთ წამოვიყვანეთ.

**მოსკოვი.** ც. აღმ. კ. პრეს-ბიუროს ბიულეტენი: ინგლის-საფრანგეთის არხანგელსკში და მათ რაზმების დაკავებულ ადგილებში, თავისუფალ ვაჭრობის გამოცხადებამ, საგრძნობლად გააძვირა პირველი მოთხოვნილების საგნები. აუწერელ მდგომარეობაში არიან მუშები, რომლებიც დაწესებულებების ლიკვიდაციის გამო ანგარიშს ღებულობენ, მაგრამ ფულის მიღების დროს აძლევენ მხოლოდ 20 პროც. იმისას, რაც ერგებათ.

ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ძალა 5,000 კაცს აღემატება, თუ მივათვლით რუს მოხალისეებს. მოკავშირენი ძლიერ ფრთხილათ იქცევიან და ბრძოლის დროს მხოლოდ რუსის მოხალისენი იღუპებიან. ამან მიიქცია მოხალისეთა ყურადღება და დიდი უთანხმობა და საყვედური გამოიწვია მათში.

უკანასკნელი ცნობით ჩვენებმა აიღეს სადგ. ტუგანსკაია.

თეთრ გვარდიელების მიერ შენშურისა და ხოლმოგორის მაზრებში გამოცხადებულ მობილიზაციამ ხალხში ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვია. მცხოვრებლები არ ემორჩილებიან თეთრ გვარდიელების განკარგულებას.

ჩვენ ჯარს სურს მალე გავიდეს საბრძოლველათ ჩეხო-სლოვაკების წინააღმდეგ, განათავისუფლოს ურალისა და ციმბირის მუშები კადეტთა შემოტევისაგან და გახსნან გზა ციმბირის რესპუბლიკის ცენტრში.

# ახალი ამბები

**პარტიის წევრთა საყურადღებოთ.** თფილისის კომიტეტი სოც. დემ მუშათა პარტიისა ამით აცხადებს პარტიის წევრთა საყურადღებოთ, რომ ვინაიდგან საჭიროა კომიტეტმა იცოდეს სწორი რიცხვი პარტიის წევრებისა და ამას კი ხელს უშლის ზოგიერთ წევრების თვიური გადასახადის დროზე გადაუხდელობა, რის გამოც კოლექტივებს საშვალება არა აქვთ იცოდენ სურს თუ არა ასეთ პირებს ისევ ირიცხებოდენ პარტიაში, თფილისის კომიტეტი აცხადებს, რომ დღეიდან 14 დღის განმავლობაში ყველა ზემოთ ნაჩვენები პირები ვალდებულნი არიან გაასწორონ პარტიული ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გამორიცხულ იქნებიან პარტიიდან და მათი სახელი და გვარი ცალკე სიით გამოქვეყნდება ჩვენს პარტიულ პრესაში.

◆ **სტამბოლის კონფერენცია** გაიხსნა. საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი არ სცნობენ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას.

◆ **სახალხო გვარდიის მთავარ შტაბმა** დაადგინა: 1) ეთხოვოს მიწათ მოქმედების სამინისტროს მისცეს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს 100 ათასი ფუთი თივა ერთი წლის სახარჯოთ. 2) დარჩეს სიღნაღში სახალხო გვარდია და მიეცეს მას საჭირო კრედიტი. 3) მიეცეს სახალხო გვარდიელებს დღეში ორი გირვანქა პური.

◆ **დონის მთავრობამ** გაგზავნა ბერლინში თავისი წარმომადგენელი, გერმანიის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

◆ **გერმანიის მისიას** რადიოთი ატყობინებენ, რომ მოხალისეთა ჯარმა აიღო „ნოვოროსიისკი“.

◆ **გერმანიის მისიას** ცნობა აქვს, რომ კაზაკები ემზადებიან ხელ ახლად დაიწყონ შეტევა ყაზანზე.

ფრანგების შეტევის დროს გერმანელებმა გაანადგურეს 1400 ჯავშნიანი ავტომობილი.

გერმანიის მისიის ცნობით ოსმალებს არ სურთ ბაქო შეტევით აიღონ, რადგანაც ეს დიდ მსხვერპლს მოითხოვს და ამიტომ გადაწყვეტილი აქვთ ქალაქს დაუშინონ ყუმბარები და აიძულონ დანებდენ.

◆ **საერობო არჩევნები.** სიღნაღის მაზრაში ერობის არჩევნები დანიშნულია 15 სექტემბრისთვის. ამ დღეს მთელ მაზრაში მოხდება არჩევნები, მაზრა გაყოფილია 5 საარჩევნო უბნად. სულ უნდა აირჩეს 43 ხმოსანი: 4 ქ. სიღნაღში, 39 მთელ მაზრაში. ჩვენ და ს. ფ. ერთი სიით გამოვდივართ.

◆ **საერობო არჩევნები** ხიდისთავის (გურია) საზოგადოებაში დასრულდა სულ გამოცხადდა 1065 ხმის მიმცემი. სოციალისტურ პარტიათა ბლოკის სიამ № 1-მა მიიღო 1004 ხმა, ნაციონალ დემოკრატებმა 61 ხმა.

◆ **სახალხო გვარდიის წევრი** ქლენტმა მოხსენება გააკეთა თუქურმიშის სახაზინო ქონების შესახებ. სახალხო გვარდია ყოველივე ღონეს ხმარობს ამ ქონების გამოსატანად.

◆ **სამტრედიიდან** ამხ. ბერძენიშვილისაგან გუშინ სამწუხარო დეპეშა მივიღეთ; აჩიმეძმახის მთებში ოსმალებთან შეტაკების დროს მოუკლავთ ჩვენი გაზეთის ასოთ აწყობი ამხ. გიორგი სურგულაძე.

◆ **რაჭა-ლეჩხუმელთა დამხმარე საზ.** დამფუძნებელი კრება მოხდება კვირას, სექტემბრის 1-ლს, დილის 10 საათზე, სოციალისტ ფედერალისტა კლუბის დარბაზში. რაჭველ ლეჩხუმლებს და ყველა თანამგრძნობთ საორგანიზაციო კომისია სთხოვს უეჭველად დაესწრონ. განსახილველია საზოგადოების წესდება და ასარჩევია გამგეობა.

◆ **ხონის საოსტატო სემინარიაში** მისაღები გამოცდები დაიწყება ამ წლის 12 სექტემბერს (ახ. სტ.). თხოვნები და საჭირო დოკუმენტები მიიღება მხოლოდ 10 სექტემბრამდე.

◆ **მანგლისის საზოგადოების** საორგანიზაციო კომისიას სახალხო განათლების სამინისტრომ ნება დართო გახსნას მანგლისში ვაჟთა გიმნაზია რეალური განყოფილებებით.

◆ **კავკავიდან ჩამოსულის ცნობით** კავკავში ფინანსთა მინისტრად დაუნიშნავთ ფილიპე მახარაძე.

◆ კვირას 1 ენკენისთვეს ქართულ კლუბში შედგება ჰიმნთა შეჯიბრება. შეჯიბრებაზე წარმოდგენილი იქნება 10 ჰიმნი სხვა და სხვა კომპოზიტორებისა. ჰიმნებს შეასრულებს ქართველ სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა გაძლიერებული გუნდი ნ. ქართველიშვილის ხელმძღვანელობით.

◆ **ყრილობა.** დღეს 31 აგვისტოს 12 საათზე, მუშათა კლუბში მ. ხეილის პრ. № 65 გაიხსნება ამიერ კავკასიის კოოპერატივებში მოსამსახურეთა ყრი[illegible]

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს** განზრახვა აქვს მოაწყოს ადგილობრივ ხელის მომწერთათვის ავტომობილებით გაზეთების დატარება.

◆ **დატუსაღება.** 29 აგვისტოს სადგურზე დაატუსაღეს ციხიდან გაქცეული ყალბი ფულების მკეთებელი ი. ტოროლაშვილი.

მილიციის უფროსის დადგენილებით დაატუსაღეს მეორე კომისარიატის თანაშემწე ბესარიონ მჭედლიძე სახაზინო ფულის მითვისებისათვის.

◆ **ხოლერა.** უკანასკნელ დღეებში საავათმყოფოში მიიყვანეს 3 ხოლერიანი და 6 საეჭვო. გარდაიცვალა 9 კაცი. გამოეწერა 1. სულ არის 76 ხოლერიანი და 19 საეჭვო.

◆ **უცაბედი მკვლელობა.** 26 აგვისტოს ვასილი ჯიოშვილს უცაბედათ გაუვარდა რევოლვერი და მოჰკლა არშაკი მარცვალაძე.

◆ **ხაშურის კოოპერატიული საზოგადოების** „ცხოვრება“-ს გამგეობა და მოსამსახურეები განუსაზღვრელი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას თავის საუკეთესო ამხანაგის, გამგეობის წევრის ეგნატე მაქსიმეს ძე ჯიბლაძის უდროოდ გარდაცვალებას.

◆ **გაზეთ „კავკაზის“** ყოფილი რედაქტორი ა. ფ. ბელინსკი ხოლერით ავათ გახდა.

◆ **ქურდობა.** 25 აგვისტოს ღამით ბოროტ მოქმედებმა კარაპეტიანცის მაღაზიიდან წაიღეს 8 ათასი მანეთის სხვადასხვა საქონელი.

— 26 აგვისტოს ერზიკიანის ბინიდან (ელისაბედის ქუჩა № 90) ბოროტ მოქმედებმა წაიღეს 3,150 მანეთის ნივთები

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ჩვენს გაზეთში შეცდომით იყო მოთავსებული ცნობა, რომ ჯარში იწვევენ 1895—1899 წ. დაბადებულებს. ნამდვილად გაწვეულნი არიან 1896,—97 და 1898 წლებში დაბადებულები.

### კრებები.

დღეს, საღ. 6 საათზე მე-II-ე რაიონის კოლექტივის ბინაზე დანიშნულია გაერთიანებული კრება ყველა ს.-დ. ორგანიზაციების ქალთა წარმომადგენლებისა. ვთხოვთ ყველა ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

— მასწავლებელთა კავშირში ორშაბათს, 2 სექტემბერს, საღ. 7 ს. პედაგოგიურ მუზეუმის შენობაში შესდგება ქ. თფილისის სასწავლებლების ისტორიის და ლიტერატურის მასწავლებელთა კრება მომავალ სამოსწავლო წლის პროგრამის და მეთოდების განსახილველად.

— შაბათს 31 აგვისტოს ნაშუადღევის 5 საათზე მომმარაგების („კომიტეტ სნაბჟენია“) კომიტეტის ბინაზე (სერგეევის ქუჩა, 13) შესდგება საზოგადო კრება ყველა მოსამსახურე თანამშრომელთა იმ დაწესებულებების, რომელნიც ექვემდებარებიან ხსენებულ კომიტეტს, ვინაიდან კრებაზე მეტად საყურადღებო საკითხები იქნება გარჩეული, ყველა თანამშრომლების დასწრება აუცილებელია. თანამშრომელთა ბიურო.

— 1 სექტემბერს, დილის 10 საათზე, სახელოსნო გამგეობის შენობაში (რუსულ და ვანქის ქ. კუთხე), დანიშნულია არაჩვეულებრივი საზოგადო კრება. ვსთხოვთ ხელოსანთა კოოპერატივის წევრებს ყველა დაესწროს აუცილებლივ დროზე.

# მეცნიერული წრეები მუშათა კლუბებში

რუსეთის რევოლიუციამ მუშათა კლასი გამოიყვანა საზოგადოებრივ ცხოვრების მოწინავე პოზიციაზე. მოკლებული საჭირო განათლებას და კულტურას, ის მოუმზადებელი შეუდგა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას. დამარცხება რუსეთის რევოლიუციისა არის ერთ-ერთი შედეგი მუშათა ასეთი მოუმზადებლობისა. ისტორიის მწარე გაკვეთილმა უნდა აამოძრაოს მუშები განვითარება-განათლების შესაძენად. ეს როლი ამ ჟამად უმთავრესად უნდა იკისროს მუშათა კლუბებმა. მუშათა კლუბები არსდება ჩვენში და დასავლეთ ევროპაში არა მარტო იმისთვის, რომ მიაწოდოს მუშებს გონიერი გასართობი დასვენების დროს, არამედ იმისთვისაც, რომ მუშებს მიეცეს საშვალება მეცნიერების ამა თუ იმ დარგიდან ცოდნის შეძენისა. რა გზით, როგორ უნდა მიაწოდონ ცოდნა მუშათა კლუბებმა თავის წევრებს? ამ საკითხის გადაჭრის დროს უნდა მხედველობაში გვქონდეს შემდეგი დებულებანი:

მუშათა კლუბების დამაარსებელი არიან თვით მუშები. მუშების უმრავლესობა ჯერ არ არის მომზადებული, რომ დამოუკიდებლად გაარჩიონ ესა თუ ის მეცნიერული პრობლემა. სამუშაო დღის შემდეგ დიდი ძალაა საჭირო, რომ რომელიმე სერიოზული წიგნის შესწავლას შეუდგე. მუშა შეჩვეულია ყოფნას და შრომას კოლექტივში. კოლექტივი მას იზიდავს და აბამს მუშაობაში.

საუკეთესო გზა, რომელთაც მუშები ცოდნას შეიძენენ, ეს არის კოლექტიური მეცნიერული შრომა. მოწყობილი სხვადასხვა თვითგანვითარების წრეების სახით: მეცნიერული კოლექტივი იძლევა სრულ საშვალებას პიროვნების განვითარებლად. აქ აშკარავდება ინტერესი, მისწრაფება და შეხედულება კერძო პიროვნებათა. აზრთა გაცვლის დროს პიროვნება თავის ცოდნას ადარებს სხვის ცოდნას, არკვევს ხარისხს თავის განვითარებისა და ამისდამიხედვით ცდილობს შეავსოს თავისი დანაკლისი. პრაქტიკა ყოფილ და ამ ჟამად არსებულ მეცნიერულ წრეებისა ამტკიცებს სისწორეს ზემოდ მოყვანილ დებულებისა.

მაგრამ ორგანიზაცია ასეთი წრეებისა გულისხმობს კლუბის წევრებში უკვე შემუშავებულ ინტერესს მეცნიერების ამა თუ იმ დარგისადმი და სურვილს იმის დამოუკიდებლად შესწავლისა დაინტერესებულ პირებთან ერთად. კლუბის წევრებში მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვიძება—(ცდა მათ მიერ მეცნიერულ პრობლემის თავისი ძალებით გარჩევისა, არის განხორციელება ამ მიზნისა, რომელსაც ისახავს მუშათა კლუბი და სახალხო უნივერსიტეტი. ამისათვის კლუბის ცხოვრების ამ მხარეს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

თუ როგორ უნდა მოეწყოს მუშათა კლუბებში მეცნიერული წრეები, ამის მაგალითს გვაძლევს თფილისის ც. ს. უნ. მსმენელთა კლუბი. ჯერ-ჯერობით აქ დაარსებულია შემდეგი მეცნიერული წრეები: მარქსისტული, მხატვრულ-ლიტერატურული, ენათ მცოდნეთა, პოლიტიკურ მოკამათეების და სხ.

წრეების და კლუბის ურთიერთობას განსაზღვრავს რეგლამენტი. რეგლამენტი ავალებს ყველა წევრებს ჩაეწერონ რომელიმე წრეში. წრეს უნდა ჰქონდეს საკუთარი წესდება, რომელიც უნდა წარედგინოს კლუბის გამგეობას რეგისტრაციისათვის. მეცნიერულ წრეებს ევალებათ წარმოადგინა მოხსენებლებისა კლუბის ყველა წევრებისთვის. წრეებს აქვთ უფლება მოიწვიონ გამოცდილი ხელმძღვანელები.

კლუბის გამგეობა უნდა ეცადოს, რომ კლუბის წევრები დაინტერესდენ მეცნიერულ წრეებში მუშაობით. ამისათვის საჭიროა ლექციის და მოხსენების შემდეგ დისკუსია. კამათის მოწყობა სხვადასხვა ლიტერატურულ საკითხის, პოლიტიკის, ხელოვნების, ისტორიის შესახებ. ამ გზით გამოირკვევა თუ ვის რა აინტერესებს. და ამის მიხედვით შესდგება მეცნიერული წრეები. დრო გამოშვებით უნდა მოხდეს კრება სხვადასხვა კლუბების ერთგვარ მეცნიერულ წრეებისა. და შეერთებული ძალით საღამოს მოწყობა, გამოყვანა საკუთარ მომხსენებლისა და მათი გატოლება.

მეცნიერულ წრეების მოწაფეები უნდა გაიმსჭვალონ იმ აზრით, რომ ხანამ გახდებოდე მასწავლებელი, საჭიროა იყო მოწაფე. მხოლოდ დიდი ხნის მუშაობის შემდეგ გამოდიან მუშათა კლასიდან ისტორიის ავან-სცენაზე: საკუთარი პოლიტიკური მოღვაწენი, მეცნიერნი და მწერლები.

ერ. თალაკვაძე.

# ბაქოს მდგომარეობა

(ამხანაგის წერილიდან).

ბაქო ყოველმხრით მტრის მიერ არის გარშემორტყმული ერთი კვირის განმავლობაში. შემახიდან ბაქოს მოადგნენ. რამდენათ უახლოვდებოდა მტერი ბაქოს, იმდენათ ირკვეოდა, რომ შინაური ძალებით თავდაცვა შეუძლებელი იყო. ერთ უკანასკნელ სხდომაზე საბჭომ დაადგინა მოიწვიოს ინგლისელები. ბოლშევიკებმა გამართეს მიტინგები, მაგრამ ყველგან ბოლშევიკებს უნდობლობა გამოუცხადა ხალხმა და მიიღო საბჭოს დადგენილება. შემდეგ კიდევ მოიწვიეს საბჭო, გაფართოვებული კომისიების წარმომადგენლებისაგან, რომელზედაც 254 ხმამ 238 წინააღმდეგ ისეთივე დადგენილება გამოიტანეს როგორც წინად. შაუმიანმა განაცხადა, რომ მისი ფრაქცია ასეთი დადგენილების შედეგებს არ იზიარებს და კომისარობას თავს ვანებებთო დადგა მთავრობის კრიზისი. ფრაქციები ასეთ მოვლენას მოუმზადებელი შეხვდენ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკებმა განაცხადეს, რომ მთავრობას თავს ვანებებთო, ალბათ მიიღეს რა მხედველობაში, რომ იმათი მომხრე თითქმის ნახევარი საბჭო იყო, გადასწყვიტეს ძალაუფლების შერჩენა. ყველა ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მტერი ბაქოს საათობით უახლოვდებოდა. მესამე დღეს გამართეს დემონსტრაცია, რომელშიაც იღებდა მონაწილეობას რამდენიმე რუსეთიდან მოსული წითელ რაზმელებიც ზარბაზნებით და ჯავშნიანი ავტომობილებით. ბაირაღებზე ეწერა: „გაუმარჯოს ბოლშევიკებს. იმათგან შემდგარ მთავრობას, ძირს სოგლაშატელებიო“ და სხვა. ხალხი ირონიულად ხვდებოდა და გასაგონად ეუბნებოდა: აქ რომ დადიხართ, იქ წადით ფრონტზე, იქ უფრო საჭირო ხართო. ეს კვირა დღეს იყო. მდგომარეობა სულ უფრო და უფრო რთულდებოდა. **ბიჩერახოვი** როდესაც დარწმუნდა, რომ მისი პოლიტიკა არ გალის და დამარცხებაც აუცილებელია.

გაუდგა რუსეთისკენ თავის რაზმით, ჩვე
ნი წითელ რაზმელები უკვე ბალაჯარა
მდი მოვიდენ. სამშაბათს 30 ივლისს ახა
ლი [illegible]
სოვმა [illegible] გაგზავნ
ზავზე მოსალაპარაკებლად. როგორ
ირკვევა, მოლაპარაკება იმიტომ არ შ
დგა, რომ შაუმიანმა ბრძანება არ გას
და სარდალმა თავის ინიციატივით
დაიწყო, უცადა ბრძანებას. სამშაბა
30 ივლისს იყო უკანასკნელი სხდო
საბჭოსი, რომელზედაც დაესწრო 70—7
წევრი. იქ ბოლშევიკებმა აღნიშნეს გ
მოუვალი მდგომარეობა და აღიარეს თ
ვი დამარცხებულად. მაგრამ რადგან
ჩვენ მოლაპარაკების წინააღმდეგი ვარ
ჩვენ კომისარობას თავს ვანებებთ
მოლაპარაკება სხვა პარტიების წარმ
მადგენლებმა გამართეთო. ძნელი წა
მოსადგენია რა მდგომარეობა იყო
გარშემო სულ ზარბაზნების გრიალი,
ლაქში საშინელი არევ-დარევა და ამ
თან ხელმძღვანელების უკუქცევა. კრე
მაშინვე შეწყდა და დაინიშნა ინტერპა
ტიული კრება, რომელზედაც შესდ
მთავრობა. ჩვენგან აირჩიეს შევიდ
ს.-რ. უმანსკი, დაშნაკელებიდან არაკ
ლიანი და იოლჩიანი. ამასთან ერთ
ცენტრო კასპიმ გამოაცხადა დიქტატ
რა და რადგანაც ფიზიკური ძალა იმ
ხელშია, ფაქტიური მთავრობაც ისი
არიან. ბოლშევიკებმა სამშაბათს დ
12 საათიდან იწყეს ტვირთვა გემებ
გადიტანეს ბანკი, სურსათი, რაც იყ
ჯავშნოსნები, ავტომობილები, ზარბა
ნები, ტყვიისმფრქვეველები, ცხენები
სხვა. საზარელ შთაბეჭდილებას ახდ
და ყოველივე ეს. იმათ უკან გაყვა ხ
ლხი მოკრულებით ხელში და თი
ქმის მთელი ბაქო გემებზე გადასახ
და. ერთმა კომისართაგანმა (Ком
саръ финансовъ Киреевъ) ფულ
შეაყოლა ერთი მის ამხანაგთან ე
თად. ის თითონ ბოლშევიკებმა და
ჭირეს და დახვრიტეს. შაუმიანი, ალი
შა (ამბობენ ალიოშა ძალიან წაიყვან
სო), ფიალეტოვი, ზევინი და სხვა კ
მისრები თავისი ცოლშვილით და ა
ჯეულობით მოთავსდენ გემზე და აპ
რებდენ გამგზავრებას, მაგრამ არ წას
ლან 100 საჟენი ნაპირიდან, რომ მ
დახვდა სამხედრო გემი და უკან გა
მოსხა ყველანი. ალიოშა ძალიან სწ
და შემაცდინესო. როგორც სჩანს, თვ
თონაც ხედავდა, რომ სასირცხვო
დააბოლოვეს თავისი საქმე ბოლშევიკებ
გვეგონა იმათ ხმას აწი აქ
ცი ვერ გაიგონებდა, მაგრამ ერ
კვირის შემდეგ უკვე წამოყვეს თავი
სხვებს ამტყუნებდნენ. უკვე დაიწყ
ინტრიგები.

შესდგა ახალი მთავრობა თუ არა გ
მოაცხადა „სამშობლო განსაცდელშია
ვერ წარმოიდგენთ რა ენტუზიაზმი გ
მოიწვია ამ გამოძახილმა მთელს მუშ
ში და მოქალაქეებში. თითქმის ყველ
გამოვიდა საომრად. ორი მესამედი ქა
ხანა ფაბრიკებისა გააჩერეს; ყველა ქა
ნებში გამოქონდათ დადგენილება: „ყვე
ლა ფრონტზეო“.

მტერი წინა დღეებით გათამამებუ
სულ ახლო და ახლო მოიწევდა. ხალ
ისე შეჩვია ყველა ამას, რომ როდესა
არ ისმოდა ზარბაზნების გრიალი
თოფის ხმა მოწყენილი იყო. პეტროვ
მოედანზე იდგა 8 ზარბაზანი და ი
დან ისროდენ. მტრის ყუმბარები სასა
ლაოზე ეცემოდა და იქ სქდებოდ
მტერი ისე გათამამდა, რომ ქალაქში
შემოიჭრა, ბაილოვი აიღო და ქალაქ
აპირებდა შემოსვლას, მაგრამ გაღვიძ
ბული ხალხის თავ გადადებულმა ბრძ
ლამ უკუაქცია—მტერმა უკან დაიხ
5—6 დღეა დრო გამოშვებით ზარბაზ
ნების სროლაა. ინგლისელები ჩემს
ყოფნაში არ ყოფილა. ეხლა ამბობ
400 კაცამდი მოვიდნო, მაგრამ
წვეთია ზღვაში. ჩვენების მდგომარეო
მით რთულდება, რომ მთელი გარშემ
მდებარე სოფლის თათრობა ეხლ
უშველს ქალაქიდან მიმავალთ. ღარიბ
გონია, რომ ეს სომხები [illegible] ქალ
ქიდან იმათ საცლეტათ. სურსათი აღ
არის, წყალი დაკეტეს, სოფლები მო
რილია—ერთი სიტყვით მდგომარეო
ცუდია.

# მიწათ-მოქმედების სამინისტროს საყურადღებო

კახეთის რაიონში (თელავის და სი
ნაღის მაზრები) ჩვენ ახალგაზდა რე
პუბლიკას დარჩა დიდებული მამულ
ზვრები სარდაფებით ტეხნიკურათ მშ
ნივრათ მოწყობილნი, პლანტაჟით დ
მუშავებულნი. საერთოთ რომ ავიღო
ეს უძვირფასესი განძი და შევაფასო
მივიღებთ რამდენიმე მილიონებათ ღ
რებულებას.

ს.ს. წინანდლის, მუკუზანის და ნაფ
რეულის ზვრები ერთათ შეადგენენ 34
დესეტინას. ამ რიცხვიდან სჩანს, რომ
მამული მართლა ძვირფასია და ამას
დავუმატებთ სარდაფებს და აუარებ
ინვენტარს, რომელიც დღეს ძნელი ს
შოვარია, დავრწმუნდებით, რომ ეს სუ
ერთათ აღებული ღირსია განსაკუთ
ბულ ყურადღებისა.

1918 წლ ს ხარჯთაღრიცხვით ების დასამუშავებლათ და მუშა- ლეების შესანახათ გადადებულია 0,000 მანეთი. საიდანაც სჩანს, რომ ლი დიდია და მისი მოვლა და ექს- ატაცია უნდა იყოს რაციონალურად ნებული.

ფლის მეურნეობა უნდა იყოს აშე- ლი ორს უმთავრეს პრინციპზე: 1) იყენე დღეს, 2) შეინახე და მოუარე ვლისთვის. აქ მტაცებლობით ექს- ატაციას არ უნდა ჰქონდეს ალაგი. ა თუ წინად, როგორც გადმოგცეს, ის გვარეულობა არ იყო ასე დაინ- ესებული ამ ზვრების შემოსავლის გრესიული ზრდით, ეხლა საჭიროა ბა მთავრობამ სწორედ ამას მიაქ- ს ყურადღება, სწორედ ეს შემოსავ- პროგრესიული ზრდა დაისოს მიზ- , რადგან თუ ამოდენა ქონება მის- დეფიციტს და თუნდა შემოსავალ- ავალი ერთმანეთს გაუსწორდება, მა- ქონებას მოელის უეჭველი გაპარ- ება და მოსპობა.

ვენ რომ ზედმიწევნით გავითვალის- ოთ ამ მამულის შემოსავალი ამ წელს შევუფარდოთ გასავლის ხარჯთაღ- ცხვას, დეფიციტი აუცილებელია, რო ც გადმოცა ადგილობრივ მოსამსა- ე სპეციალისტმა.

ამავე დროს თუ გადავათვალიერებთ ით მამულს, შევადარებთ ეხლანდელს მუშავებას და მოვლას წინა წლები- თან, დავინახავთ, რომ მამული არ ის სათანადოთ დამუშავებული, მოვ- ლი, რაც საშიშროებას წარმოადგენს მავლისთვის, თუ ასე გაგრძელდა შემ- გ წლებშიაც.

წინა წლებში ზვრები მუშავდებოდენ ანასკნელ ტეხნიკის თვალსაზრისით, ფრანგეთში შექმნილი მეთოდებით, ეს კი იმის ნახევრადაც არ არის საქ- დაყენებული. თურმე არც წამალი და გირდი ჰხმარდება თავის დროზე და ით ზვრებში მოდებულია ბალახი, რაც მც თუ ამცირებს მოსავლის რაოდე- ბას და ღირსებას, არამედ საფრთხეს დის მ იმავლისათვისაც. მიზეზი? მუ- ს ნაკლებობა, მომუშავეების შეუზღუ- ვლი „ბალშევიკური“ მადა თავგასუ- ობა და არა სათანადო მუშაობა იმ ა საათის განმავლობაშიაც კი, რომე- ც ამ დარგშიც უკვე დაკანონებულია. სოფლის მეურნეობაში, სადაც თითქ- ს მთელი მუშაობა სწარმოებს ჰაერზე, ის ქვეშ, სადაც შეწამლა და სხვა პერაციები დამოკიდებულია დარზე და იმატიურ პირობებზე, საჭიროა ყოვე- ი დღის გამოყენება, ყოველი საათის ოგება. თუ ვაზს არ შეუწყე თავის როზე ხელი, იგი ეჩაგრება, ავადმყოფდება და, ცხადია, ჰკარგავს ნაყოფიერებას დღეს და ისპობა შემდეგში.

ამიტომ არის, რომ მეზობელი, მოსიჯნავე ამ ზვრებთან მესაკუთრე გლეხი გამოდის სამუშაოდ უთენიძლივ და ბრუნდება სახლში მზის ჩასვლის შემდეგ, რადგან კარგად იცის, რომ დღეს თუ ხელს უწყობს დარი, ხვალ და იქნება ერთი კვირითაც ფეხი ვეღარ შესდგას თავის ვენახში.

სახელმწიფო მამულში კი მუშაობა თავდება ნაშუადღევის სამს საათზე და იმ დროს, როცა საჭიროა დაჩქარებითი ხელის შეწყობა, დღეში 4—5 საათი იკარგება ტყუილად. რასაკვირველია, თვით ნაწარმოები ამ მამულისა შედარებით კერძო მესაკუთრის ნაწარმოებთან ჯდება ძვირი, ერთი-ორად, რაც ამცირებს შემოსავალს ხარჯებთან შედარებით.

საჭიროა მიწათ-მოქმედების სამინისტრომ მიაქციოს ზემო აღწერილ სახელმწიფო მამულის მდგომარეობას სათანადო ყურადღება და გამოძებნოს საშუალებები: 1) ქონების რაციონალურად დასამუშავებლად; 2) შემოსავლის პროგრესიულად ზრდისთვის და 3) მუშაობის მოსაწყობად განსაკუთრებულ კანონების შექმნით მეურნეობის ხასიათის თვალსაზრისით.

საჭიროა დეტალური შესწავლა ამ საქმისა ყოველ მხრივ, ჩაკვირვება და ისეთი გეგმის გამომუშავება, რომ ერთი მხრით არ დაიჩაგროს მომუშავეთა ინტერესები, მეორე მხრივ კი ნაყოფიერება და ღირსება ნაწარმოებისა.

ვ. ლა—რი.

# რამოდენიმე საშუალებანი პურის გაიაფ. და შოვნისა

გაზ. „სახალხო საქმეში“ № 313, მოთავსებული იყო წერილი „სიძვირის გამო“, რომლის დედა აზრი ის იყო, რომ საჭიროა ჩვენმა მთავრობამ შემოიღოს ნატურალური გადასახადი: პურით, სიმინდით და სხვა მოსავლით აიღოს და აი ამგვარად ნაშოვნი პურით დააკმაყოფილოს მუშა ხალხი და მოხელეობა ზომიერ ფასებში. ამ საშვალებას მე მინდა დავუმატო კიდევ სამი საშუალება და იმედი მაქვს, რომ ამას ყურადღებას მიაქცევს ჩვენი მთავრობა. ეს საშუალებანი არის შემდეგი: 1) დღეიდან გაიცეს ხოლმე ყველა სახელმწიფო მამულები იჯარით არა ფულზე, არამედ მოსავლის მეათედ წილში; 2) მოისპოს შინა საზღვრების დაკეტვა, როგორც ეს დღეს არის ბორჩალოს მაზრაში, რადგანაც ამით ბოროტად სარგებლობენ ზოგი მთავრობის აგენტები—ყარაულები და სხვა საშუალებით დიდათ ავიწროებენ ხალხს და თავისუფალ მისვლა-მოსვლას და 3) საჭიროა წისქვილების გამრავლება ჩვენში, რაზედაც მინდა ვსთქვა ორიოდე სიტყვა უფრო ვრცლად.

ყოველი მხრიდან გვისმის, რომ წელს მოსავალი, როგორც პურისა, ისე სიმინდისა, კარგია ჩვენს სამშობლოში. ამავე დროს კი, როგორც ქალაქად, ისე სოფლად გამომცხვარ პურს თითქმის სულ ვერ იშოვით და თუ იშოვით—სისხლის ფასად.

სხვათა მიზეზებს გარდა, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჩვენში ფრიად ნაკლებად მოიპოვება წისქვილები და რაც მოიპოვება ალაგ-ალაგ ისიც ადამის ჟამისა და პრიმიტიულის სახისაა, რომელთაც არ შეუძლიანთ სავსებით და ჩქარა დააკმაყოფილონ ხალხის მოთხოვნილებანი. ასეთი სამწუხარო ჩამორჩენა ჩვენი ქვეყნისა ამ საქმეში აიხსნება იმით, რომ აქამდის ჩვენს ფქვილს არ შეეძლო ბაზარში გამოსულიყო საქვეყნოდ—გასაყიდად, რადგანაც მას ჰყავდა დიდი მოქიშპე „კონკურენტი“—რუსეთის ფქვილი. აი ეს გარემოება იყო უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ საწისქვილო საქმე ჩვენში განუვითარებელი დარჩა, ასე რომ, იმ დროსაც, როცა ჩვენი ბაზარი სავსე იყო რუსეთის ფქვილით, სოფლად არსებული წისქვილები ძლივს ასდიოდნენ ზოგიერთა ოჯახების სიმინდის თუ პურის დაფქვას და ახლა კი, თქმა არ უნდა, ნაასადათაც ვერ აკმაყოფილებს.

დღეს არსებული პირობები არსებითად შეიცვალა. რუსეთის ფქვილი სულ აღარ შემოდის ჩვენში და შესაძლოა კიდევ ბევრმა ხანმა განვლოს, სანამ რუსეთის პურის წარმოება ისევ იმდენად გამოკეთდეს, რომ ჩვენს პურს ჩვენში ქიშპობა გაუწიოს. სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ ჩვენმა მიწადმოქმედების სამინისტრომ თავს იდვას შრომა და იმ რაიონებში, სადაც პურის მოყვანას ეწევიან, დაუყონებლივ ააგოს საკმაო რიცხვი ისეთი წისქვილებისა, რომ დღიური წარმოება მათი უდრიდეს 5—6 ათას ფუთსა. ამით ორ მიზანს მივაღწევთ ჩვენ: პირველი ის, რომ რაკი ჩვენი გლეხკაცობა, რომელსაც დღეს უმთავრესად მოეპოვება პური, ნახავს ისეთ ცენტრს, სადაც ის ადვილათ იქნება დაკმაყოფილებული საფქვავის მოწყობილობით, არ დაიზარებს და თავის მოსავალს ბაზარზე გამოიტანს.

რაც შეეხება ტეხნიკურს მხარეს, უნდა ვსთქვა, რომ საწისქვილო საქმეში პირველი ადგილი უკავია მამოძრავებელ ძალას. ამიტომ, თქმა არ უნდა, უმჯობესია, საცა ბუნება ხელს უწყობს, აგებული იქნას ისეთი წისქვილები, რომელთაც სათბობი მასალა არ დასჭირდებათ და ქარით ანუ წყლით აამოძრავებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ადგილი ხელს არ უწყობს, შეიძლება მივმართოთ ორთქლის მანქანას, ან კიდევ ნავთის მატორს, რომელიც ამ ჟამად მრავლად მოიპოვება ჩვენს სახელმწიფოს. აგრეთვე საჭიროა წისქვილების აშენების დროს იქონიონ მხედველობაში, რომ, რადგან მუშა ხელი ძვირია, პატარ-პატარა ხორბლის ამტანი მანქანები (ელევატორები) მოუწყონ ზედ ძაბრებზე, რომელნიც თავითვე მიაწვდიან ქვებს ხორბალს ერთ საერთო განყოფილებიდან.

კარგი იქნება აგრეთვე, რომ იმ ადგილებში, სადაც წყალზე დააპირებენ წისქვილის აგებას, ტურბინის გამონაგარიშების დროს მხედველობაში იქონიონ წისქვილისა და ახლო-მახლო ადგილების ელექტრონით განათება.

ელექტრიკი ნიკო როსტომაშვილი.

# ორიოდე სიტყვა ფოსტა-ტელეგრ. მომუშავეებზე

დიდიდან რევოლუციისა მეტად მძიმე მოვალეობა დაეკისრა ფოსტა-ტელეგრაფის მომუშავეებს. მათი მოვალეობა რევოლიუციის და თავისუფლების წინაშე ჩვენში პირნათლად შეასრულეს ჩვენმა მოხელეებმა, მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ამასთანავე ის, რომ საერთოდ ანარქიის განვითარებასთან ერთად ფოსტა-ტელეგრაფშიც იჩინა თავი ანარქიამ, რამაც ერთობ არია მწყობრი მუშაობა საფოსტო უწყებაში. ეხლა, როგორც სჩანს, ამ წყეულ ანარქიას, დამღუპველს ყოველივე საქმისას და განსაკუთრებით ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისა—ბოლო ეღება; ფოსტა-ტელეგრაფის საქმე ნორმალურ კალაპოტში დგება.

ფოსტა-ტელეგრაფში მომუშავეებს შეუგნიათ მძიმე პირობები ჩვენი რესპუბლიკისა და ენერგიულად მოუკიდნიათ ხელი საქმისთვის, ასეთ გარემოებას ჩვენ მთელი ჩვენის სიხარულით, კმაყოფილებით ვეგებებით, მაგრამ ამასთანავე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ და ამხანაგური შენიშვნა არ გავუკეთოთ რესპუბლიკის ინტერესებისათვის ჩვენს ფოსტაში მომუშავეებს ერთ რამეში. როგორც ვიცით, ფოსტ.-ტელ. მომუშავეებს მოუმატეს ჯამაგირები თვეში 150 მან. თითოეულსდა და ერთდროულათ მისცეს ამასთანავე ასი მანეთი ყველა მომუშავეებს. შეიძლება ეს მომატება და საერთოდ ჯამაგირები არ კმარა ასეთ პირობებში, როგორც არის დღეს, მარა ამით არ შეიძლება ითქვას ის, რომ ჩვენი მთავრობა არ ზრუნავდეს, არ სურდეს ფოსტაში მომუშავეთა მდგომარეობის გაუმჯობესება. ამას იმისათვის ვამბობთ, რომ როგორც გავიგეთ, ჯამაგირების მომატებას დიდი მითქმა-მოთქმა და უკმაყოფილება გამოუწვევია მომუშავეებში. საქმე იმაშია, რომ დღევანდელ პირობებში იშვიათი დარგია და დაწესებულება, რომ აკმაყოფილებდეს სრულად თავის მომუშავეებს, დღეს ერთობ ძნელია ადამიანის სრულად დაკმაყოფილება ჯამაგირის სახით, მით უმეტეს ჩვენს ნორჩ სახელმწიფოს სულ არ შეუძლია, რადგანაც არ არის ჯერ კიდევ მოგვარებული არც ფინანსიური, არც ეკონომიური მხარე ისე როგორც საჭიროა და ამის მოგვარება არც ისე ადვილია, რომ ერთ ან სამ თვეში გაკეთდეს, არამედ ამას სჭირია წლეები.

აი სწორეთ, როდესაც ასეთი მდგომარეობაა სახელმწიფოსი, აქ ვერ იჩენენ ჩვენი ფოსტაში მომუშავეები პოლიტიკურ მომზადებას, ვერ უწევენ ანგარიშს სისწორით, სინამდვილით დღევანდელ რესპუბლიკის პირობებს, მართალია მათ ენერგია და საქმის სიყვარული გამოიჩინეს, რომ ნორმალურ პირობებში მიმდინარეობდეს ფოსტა-ტელეგრაფის საქმე, მარა მარტო ხომეს არ კმარა, რომ ერთი გააკეთო და მეორე კი არიო? განა მარტო ფოსტაში მომუშავეების მდგომარეობაა ცუდი ეკონომიურათ? არა. არის უფრო უარესიც. აი მაგალითათ აიღეთ დეპოში და რკინის გზაზე მომუშავე მუშები. ეს ის მუშებია, ეს ის თვალი და სილამაზეა ჩვენი რესპუბლიკის, რომლის საშვალებით, მათი ბრძოლით დღემდე მივიდა ჩვენი ქვეყანა და თავისუფლება. და მერე იცით ისინი რას ღებულობენ? თქვენზე ნაკლებს ბევრათ მიუხედავათ იმისა, რომ ფიზიკურ შრომას ეწევიან. არა მარტო თქვენზე ნაკლებს; არამედ იმას, რასაც აძლევენ სამი ოთხ თვესაც უგვიანებდენ, მაგრამ ამისათვის მუშებს პროტესტები და გაფიცვები კი არ დაუწყიათ მთავრობის წინააღმდეგ, პირიქით, მათ მიერ ბრძოლით შექმნილ მთავრობას გვერდში ამოუდგენ და იარაღით ხელში გავიდენ საბრძოლველათ თავისუფლების დ ჩვენი დამოუკიდებელ სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ და დღეს მთელი რესპუბლიკის მიდამოები მათი უმანკო სისხლით არის მორწყული.

აი თუ როგორ ესმით მუშებს დღევანდელი მდგომარეობა და პირობები, აი როგორ უნდა დაცვა სახელმწიფოს, აი ამას ჰქვია პოლიტიკურათ მომზადებული. თქვენც ამავე გზით და სიყვარულით უნდა იაროთ რესპუბლიკის ინტერესებისათვის, თქვენც ასე უნდა შეიგნოთ დღევანდელი სახელმწიფოს პირობები, თქვენდანაც ელის კარგ დახმარებას ჩვენი რესპუბლიკა და თავისუფლება, მაშ ყველა ერთად საქმისკენ, რესპუბლიკის გამარჯვებისაკენ. და თუ მთავრობამ, სახელმწიფოს რამე ექნა თქვენს ინტერესებს არ დაივიწყებს და ის ეცდება მუდამ, რაც შესაძლებელი იქნება თქვენთვისაც გააკეთოს, თქვენი ეკონომიური ინტერესებიც გააუმჯობესოს.

ა. პ—ლი.

# ლაზარეთი № 33

(განმანაწილებელი პუნქტი).

ორი თვე უკვე სრულდება მას შემდეგ, რაც ხსენებული ლაზარეთი დაიხურა. უადგილოთ დარჩენილ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ხუთასს აღემატება, რომელთაც თავიანთი ხვედრი ჯამაგირი ჯერ კიდევ მიუღებელი აქვთ.

ლაზარეთის დახურვის დღეებში ე. ი. ივლისის პირველ რიცხვებში (ახ. სტ.) მოსამსახურეებმა საერთო კრებაზე აირჩიეს რამოდენიმე პირისაგან შემდგარი კომისია. კომისიას დაევალა ეზრუნათ, რათა მოსამსახურეთ არ დაგვიანებოდათ ჯამაგირის მიღება, მაგრამ კომისიამ თავისი ინტერესი მაღლა დააყენა თავისი ამრჩეველების ინტერესზე. კომისია ალბათ დარწმუნდა, რომ მთავრობას არ შეეძლო ყველა მოსამსახურეების ფულით დაკმაყოფილება, ამისთვის კომისიას შეუდგენია სია ნათლიმამურათ ნაცნობ მეგობრებისა 39 კაცისაგან და ეს სია წარუდგენიათ დაჭრილთა კომიტეტში, კომიტეტს გაუცვნია სიაში მოთავსებულთა უკიდურესი მდგომარეობა, კომიტეტმა დააკმაყოფილა თხოვნა, მისცა ქაღალდი წარსადგენათ მომარაგების კომიტეტში, საიდანაც 39 კაცმა ფული სრულად თავისი ლიკვიდაციით მიიღო.

ეს მოულოდნელი ამბავი მეორე დღეს იქნა გაგებული შემთხვევით. დანარჩენი მოსამსახურეები არიან უნუგეშო მდგომარეობაში, არ იციან თუ ვის მიმართონ. დღემდი იმედი ჰქონდათ კომისიის, უფროს ექიმ—ადმინისტრაციის, დღეს ისინი არც ერთი, არც მეორენი აღარ მობრძანდებიან.

ეხლა, როგორც ამხ. ალ. დგებუაძემ აცნობა ხალხს 28 ამა თვეს მთავრობას აზრათ ჰქონია მოსამსახურეებს რამოდენიმე დღის თუ კვირის შემდეგ დაურიგოს თითო თვის ჯამაგირი. დანარჩენ ხვედრ ფულს კი როდის მიიღებენ არავინ არაფერი იცის.

ბევრი მოსამსახურე მოკლებულია საშვალებას თავის სოფელში წავიდეს, რომ სცოდნოდათ ფულს აღარ მიიღებდენ, უფრო ადვილად შეეძლოთ მოე-

# ოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია

(ნოე ჟორდანიას მოხსენება).

(გაგრძელება)

მე ვსთქვი, რომ გლეხების როლი პი- ველი ცდა საფრანგეთში დემოკრატი- ლი რესპუბლიკის დამყარების შესახებ ლებთა უძრაობა, ჩამორჩენილობამ და- სხვრია მეთქი. საფრანგეთის გლეხო- ამ ორჯერ დაასამარა რესპუბლიკა: ერ ამოირჩია ნაპოლეონ I და 50 წლის მდეგ კი მთელი ძალა-უფლება გადას- ა ნაპოლეონ III.

პრუსიაში 1848 და 49 წ.წ. რევოლი- ცია დაასამარა იმავე გლეხობამ, რო- ელმაც წარმოიდგინა, რომ მემამულენი რთხელ და სამუდამოთ განდევნილია ოფლებიდან და მთელი მიწები ხელში აიგდო, და ამიტომ რევოლიუციონურ მოძრაობას პასსიურად შეხვდა. გლეხებს ესმოდათ (როგორც ჩვენს ბალშევი- ებს) რომ მიწების კონფისკაცია და მათ ელში გადასვლა სახელმწიფომ უნდა ზრუნველყოს, დამფუძნებელმა კრებამ უნდა დააკანონოს, თავისთავად კი მიწის ტაცება არაფერ გარანტიას არ იძლე- . როცა რეაქციამ ქალაქებში გაიმარჯვა, შემდეგ სოფლებშიდაც გადავიდა და ველი წყობილება აღადგინა.

ჩვენში კი, საქართველოში რესპუბლი- ას და რევოლიუციას შესაძლებელია ელოდეს შიგნიდან ერთად ერთი საფ- რთხე გლეხებისაგან. ამ საფრთხის ნიშ- ები უკვე არის.

რაშია საქმე? გლეხობა, რომელიც ვი- ომ და რევოლიუციის უმთავრეს მამო- რავებელ ძალად არის მოწოდებული, ათ ასამარებს მას?

დემოკრატია—ეს ხალხის პოლიტიკუ- რი ბატონობაა, ეს პოლიტიკური თვით- მართველობაა; ე. ი. ისეთი წყობილებაა რომლის დროს ხალხმა უნდა გამოიჩინოს უნარი და ნიჭი, რომ თავისი თავი თვითონ მართოს, განაგოს, უნდა იყოს თავის თავისი ბატონ პატრონი. თუ რომელიმე კლასი, ანუ ნაწილი ხალხისა ამისთვის გამოსადეგი არ არის, დემოკრატიული წყობილება მისთვის მიუღებელია. ასეთი კლასია გლეხობა. რატომ? ამაზე ბრწყინვალე პასუხს იძლევა კ. მარქსი. ის სწერს: „პარცელიარული, კარლიკური (парцелярные, карликовые крестьяне) გლეხობა შეადგენს დიდ მასსას, რომლის წევრები სცხოვრობენ ერთნაირ პირობებში, მაგრამ ურთ-ერთ შორის არ ამყარებენ რომელიმე მჭიდრო და რთულ დამოკიდებულებას; მათი წარმოების საშუალება არამც თუ არ აერთებს მათ, არამედ პირდაპირ აშორებს მათ ერთმანეთს. ეს იზოლიაცია ძლიერდება იმით, რომ საფრანგეთში ცუდი მიმოსვლის საშვალებებია და გლეხობაც ძლიერ ღარიბია. დასამუშავებელი მინდორი არ მოითხოვს შრომის განაწილებას, არც მეცნიერების მოხმარას, ცხადია არ თხოულობს ყოველმხრივ განვითარებას, განსაკუთრებულ ნიჭის გამოჩენას და რთულ საზოგადოებრივ დამოკიდებულებას. თითეული გლეხის ოჯახი თითქმის იკმაყოფილებს თავს თავის ნაწარმოებით და თავის საარსებო საშვალებების ძებნაში. ბუნებასთან უფრო იჭერს დამოკიდებულებას, ვინემ საზოგადოებასთან. მიწის ნაჭერი—გლეხი და მისი ოჯახი, გვერდით მეორე ნაჭერი, მეორე გლეხი და მეორე ოჯახი. განსაზღვრული ჯამი ასეთი ოჯახებისა შეადგენს სოფელს, სოფლებთა ჯამი კი—დეპარტამენტს

„ამ ნაირათ უმრავლესობა საფრანგეთის ერისა შედგენილია ერთგვარ სიდიდის უბრალო მიმატებით, როგორც კარტოფილით სავსე ტომარა—ცალ-ცალკე კარტოფილებით. რამდენათ მილიონი ოჯახები არსებობენ ისეთ ეკონომიურ პირობებში, რომ თავის ცხოვრების შინაარსით, განვითარებით ინტერესებით, განირჩევიან სხვა კლასებისაგან, ან და მტრულ განწყობილებაში არიან მათთან, მაშინ ისინი შეადგენენ ერთ კლასს. მაგრამ, რამდენათ მცირე მიწის პატრონ გლეხებს შორის არსებობს ლოკალური კავშირი, რამდენათ მათი ინტერესთა მსგავსება, ერთიანობა არ ამყარებს არავითარ საზოგადოებრივობას და ერთობას, ნაციონალურ გაერთიანებას და პოლიტიკურ ორგანიზაციას, იმდენათ ისინი არ შეადგენენ კლასს. ამიტომ მათ არ შესწევთ ძალა თვითონ დაიცვან პარლამენტში, ანუ რომელიმე კონვენტში თავისი საკუთარი კლასობრივი ინტერესები; ისინი თავის თავს ვერ წარმოადგენენ, ისინი სხვამ, გარეშემ უნდა წარმოადგინოს. მათი წარმომადგენელი იმავე დროს უნდა იყოს მათი ბატონი, ავტორიტეტი, რომელიც აღჭურვილ იქნება უსაზღვრო ძალა უფლებით, იცავს მათ ყველა სხვა კლასებისაგან და უგზავნის მათ ზევიდან წვიმასაც და მზის სხივებსაც. პოლიტიკური გავლენა მცირე მიწის პატრონ გლეხებისა პოულობს თავის უაღრესს გამოხატულებას იმაში, რომ აღმასრულებელი ძალა იმორჩილებს საზოგადოებას“.

როგორც ხედავთ, წარმოების საშუალება, გლეხური მიწათმფლობელობა და მიწის დამუშავება ქმნიან ისეთ პირობებს, რომელშიაც გლეხობის გაერთიანება და პოლიტიკური ბატონობა შეუძლებელია. მოძრაობაში ის მონაწილეობას იღებს, როგორც ვეებერთელა დამრღვევი ძალა, რომელიც სწვავს და ანგრევს მემამულეთა ქონებას, სჩადის მკვლელობასაც, მაგრამ ყველა ამაში გლეხობა მონაწილეობას იღებს მხოლოდ იმიტომ, რომ მიიღოს მიწა, როცა ის ამ მიზანს მიაღწევს და მიწას ხელში ჩაიგდებს, შემდეგ მას არავითარი პოლიტიკური კითხვა არ აინტერესებს (როგორც ეს მოხდა პრუსიაში 1848—49 წლებს).

ეს ცოტაა. ისინი ხშირად ილაშქრებენ რევოლიუციონური მთავრობის წინააღმდეგ და თავის დამრღვევ ძალას დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართავენ. ამის კლასიკური მაგალითი ვანდეიაა. შევჩერდეთ ცოტახანს ამ მაგალითზე, როგორც ის აქვს აწერილი ჟორესს მე 4 ტომში „სოციალისტურ ისტორიისა“ (კონვენტი).

საფრანგეთის გლეხმა დიდი რევოლიუციისაგან მიიღო ორნაირი სარგებლობა: მან მიიღო უფასოთ ყველა ის მიწები, რომელიც მას ეჭირა, როგორც დროებით ვალდებულს, ნახევრად ხიზანს და მუდმივ მოიჯარადრეს (ჩვენი დროებით ვალდებულ და ხიზანთ მსგავსია), გარდა ამისა მან ფულზე მიიღო საკუთრება მემამულეებისაგან კონფისკაციით ჩამორთმეული მიწები, თუმცა ამ მიწების ნაწილი ბურჟუაზიასაც ჩაუვარდა ხელში. როცა ყველაფერი ეს მიიღეს რესპუბლიკისაგან, მაშინ გლეხებმა უარი განაცხადეს ყოველგვარ ვალდებულებაზე რესპუბლიკის მიმართ. ისინი განრისხებაში მოჰყავდა განსაკუთრებით ორ გარემოებას, ეს იყო: გადასახადები და ჯარში გაწვევა, ე. ი. მათ არ უნდოდათ დაეცვათ რესპუბლიკა არც ფულით, არც სისხლით, მათ წარმოიდგინეს, რომ რესპუბლიკა და კონვენტი მათ სულ არ ეხება.

მაგრამ კონვენტი, რომელიც ირგვლივ შემორტყმული იყო კონტრ-რევოლიუც. კოალიციით ერთად ერთ ხსნას ხედავდა ძლიერი არმიის შექმნაში და ამიტომ ახალ-გაზრდებს ჯარში იწვევდა. მაშინ 5 დეპარტამენტს და მათ შორის ვანდეის გლეხობა აჯანყდა. თავდაპირველად თავად-აზნაურობა განზე იდგა, ზოგიერთი გლეხურათ გადაცმული აგიტაციას ეწეოდა ქალაქების წინააღმდეგ, რომელნიც სცხოვრობენ ღარიბ გლეხთა შრომითო და სხ., მღვდლები წყალს ამღვრევდენ, მაგრამ აჯანყებულთა სათავეში იდგენ არა ისინი, არამედ თვით გლეხები—ყოფილი ჯარის კაცები და დეზერტირები, აგრეთვე ტყის მცველები. შემდეგ კი, როდესაც აჯანყებამ მასსიური ხასიათი მიიღო, მათ მიეკედლენ როიალისტები, ემიგრანტების აგენტები და მღვდლები. აჯანყებულთა მძვინვარეობა-მრისხანებას გაკვირვებაში მოჰყავდა თანამედროვენი: „მკვლელობა ჩვენთვის უმაღლესი სიტკბოებაა“, ამბობდა ერთი მათგანი. წარჩინებულ რევოლიუციონერებს, კონვენტის მომხრეებს და აგენტებს არა თუ ხოცავდენ, არამედ ისე ამახინჯებდენ, რომ გამოცნობა ძნელი იყო: ამოთხრიდენ თვალებს, ამოჰრიდენ გულს და სხ.

ისინი იქცეოდენ ისე, როგორც ჩვენი აჯანყებულები იქცეოდენ დუშეთში და ცხინვალში. მათ გაძარცვეს ყველა ის ქალაქები, რომელიც ხელში ჩაიგდეს.

კონვენტმა, როცა ყველაფერი ეს მოისმინა, მაშინათვე დაადგინა გაიგზავნოს 20 ათასი ნაციონალური გვარდია (მაშინდელი წითელი გვარდია) აჯანყების ჩასაქრობათ. აჯანყება მართლაც ჩააქრეს. ჯარში გასაწვევი ხალხი აკრიფეს, გადასახადები შეაგროვეს, კოალიცია დაამარცხეს, საზღვრები და რესპუბლიკა დაცულ იქნა. ყველა ამას რამოდენიმე წლის შემდეგ გლეხებმა ნაპოლეონის ამორჩევით და რესპუბლიკის დანგრევით უპასუხეს. მართალია, ნაპოლეონიც იწვევდა ჯარში ხალხს აგროვებდა გადასახადებს, მაგრამ გლეხები მასში ხედავდენ ბატონს, ბრძანებელს, რომელიც მართავს სახელმწიფოს მათ მაგივრად და მას უნდა დაუმორჩილონ მაშინ, როდესაც რესპუბლიკა—ეს მათი მსგავსი ხალხია, და მათ ისინი ბრძანებლათ არ სცნობენ.

დემოკრატიის თვითმართველობა გლეხობისათვის მიუწდომელია.

ამასვე ჩვენ ვხედავთ 1848 წლის საფრანგეთის რევოლიუციაში, ამ რევოლიუციაში გლეხობა არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა. მაგრამ როცა რესპუბლიკამ მათ გადასახადები მოთხოვა, მაშინათვე ამხედრდენ და მარქსის სიტყვით ერთხმათ აღიარეს, რომ ეს „პარიზის მუშებს სურთ ჩვენს ხარჯზე ფუფუნებით მოაწყონ თავიანთი ცხოვრებაო“. გლეხებმა ნაციონალურ კრებაზე ამოირჩიეს სულ პროლეტარიატის მტრები, რომლებმაც მოაწყვეს იუნისის ხოცვა-ჟლეტა, ხოლო 10 დეკემბერს თავისი ვოტუმით ძალა-უფლება ნაპოლეონ III გადასცეს. მარქსი სწერს: „10 დეკემბრის კენჭის ყრა—ეს გლეხების რეაქციაა ყველა დანარჩენ კლასების წინააღმდეგ, იმ გლეხების, რომელთაც წილათ ხვდა თებერვლის რევოლიუციის ხარჯები დაეფარათ, ეს არის რეაქცია სოფლისა ქალაქის წინააღმდეგ“. იტყვიან, ყველა გლეხები კი არ ამხედრებულან კონვენტის წინააღმდეგ, იყო ნაპოლეონის წინააღმდეგ გამოსვლების შემთხვევებიც, რომელმაც ეს გამოსვლები ხიშტებით ჩააქრო. ამაზე მარქსი უპასუხებს: „საქმე იმაშია, რომ ბონაპარტეს დინასტია წარმოადგენს არა რევოლიუციონურ, არამედ კონსერვატიულ გლეხს, არა ისეთს, რომელიც მიისწრაფვის გადალახოს თავის არსებობის სოციალური პირობების ფარგლები, საზღვრები თავისი პარცელისა, არამედ წარმოადგენს ისეთ გლეხს, რომელსაც სურს, პირიქით, განამტკიცოს ეს პირობები, არა ის სოფლის მცხოვრები, რომელსაც სურს ჩამოაგდოს ძველი წყობილება, საკუთარი ენერგიით, არამედ ისეთს, რომელიც ჯანით ჩაკეტილია თავის პარცელებთან ერთად ამ ძველი წყობილების ფარგლებში და ხსნას მოელის იმპერიის მოჩვენებებისაგან. ბონაპარტეს დინასტია არის წარმომდგენილი არა განათლების, არამედ გლეხობის ცრუმორწმუნეობის,—არა მათი გონებისა, არამედ უგუნურობისა, არა მათი მომავლისა, არამედ წარსულისა, არა თანამედროვე სევენის, არამედ მათი თანამედროვე ვანდეის“, ე. ი. არის ორნაირი გლეხობა: გლეხობა ჩამორჩენილი, რომელსაც არა აქვს პირდაპირი კავშირი ქალაქთან და მუშა-დემოკრატიასთან და რომელიც ჩაკეტილია თავის ცენტრიდან დაშორებულ კუთხეში და გლეხობა მოწინავე, რომელიც ცხოვრობს ქალაქების ახლოს, რომელნიც მიდიან ამ ქალაქებში სამუშაოდ და რომელნიც მუშათა კლასის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. პირველი,—რეაქციის საძირკველია, მეორე კი ეკიდლება რევოლიუციონურ მუშა-დემოკრატიას და თუმცა თვითონ არა აქვს რევოლიუციონური შემოქმედების ინიციატივა, მაგრამ ის სცნობს მუშათა კლასის ხელმძღვანელობას და მიდის მის მიერ ნაჩვენებ გზით.

ჩვენში, საქართველოში ეს ორი წრე გლეხობისა ნათლად გამოიხატა დუშეთის, ლეჩხუმის, ზუგდიდის და სხ. მთიან მაზრების რეაქციონურ გლეხობასთან ბრძოლაში. ჩვენ ვეყრდნობით სხვა მაზრების მოწინავე გლეხობას.

როგორც ხედავთ, ის რაც ჩვენში სოფლათ ხდება ახალი არ არის, ესევე მეორდებოდა სხვადასხვა რევოლიუციის დროს დასავლეთ ევროპაში, სუყველგან ფართე მასსა გლეხობისა გამოდიოდა რევოლიუციონური დემოკრატიის წინააღმდეგ და უკანასკნელს უხდებოდა ბრძოლა მასთან, როგორც რეაქციონერებთან.

თუმცა ჩვენ არ უნდა გავეკვირვებიეთ გლეხობის აჯანყებას, მაგრამ ჩვენ იმდენათ დაგვავიწყდა მარქსიზმი და დაუჯერეთ ესერულ „აზრებს“, რომ დღემდე ზოგიერთი ჩვენში ამ გლეხებს იღებენ, როგორც რევოლიუციონერებს და დიდის ყოყმანით თანხმდებიან მათ წინააღმდეგ რეპრესიების მიღებაზე. დროა ჩვენ ბოლო მოუღოთ ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ნაროდნიკულ გლეხების ილიუზიების ბატონობას, დროა დაუბრუნდეთ მარქს და მაგრად დავდგეთ რევოლიუციის გლეხების რეაქციისაგან დაცვის ნიადაგზე. ერთად ერთი საფრთხე შიგნიდან ჩვენს რესპუბლიკას მოელის ამ ჩამორჩენილ გლეხობისაგან და რომ მას ანგარიში გაუწიოთ და რევოლიუციის მონაპოვრები შევინარჩუნოთ, საჭიროა მუშები და მოწინავე გლეხები შეერთდენ ამ კონტრ-რევოლიუციონურ ტალღასთან საბრძოლველათ. თუ ჩვენ გავიმარჯვეთ, ეს იქნება ისტორიაში პირველი მაგალითი, როცა გლეხობამ ვერ შესძლო რესპუბლიკის დამხობა და გამოვიდა პოლიტიკურ თვითმართველობის გზაზე.

(შემდეგი იქნება)

ხერხებინათ თავისი სახლში წასვლა დროზე. საჭირო მთავრობამ მიიღოს საჭირო ზომები, რათა მოსამსახურეები იქნენ დაკმაყოფილებულნი.

მან—კან.

## რკინის გზაზე

დასავლეთის რკინის გზის ახლო მახლო სოფლების ზოგ-ზოგი მცხოვრებნი, ნამეტნათ გორის მაზრისა, დიდ თავხედობას და თავწასულობას იჩენენ. მთელი რკინის გზის ლიანდაგი გადაქცეულია ურმების, საქონლის და ხალხის სავალ გზათ. მნიშვნელობა რკინის გზისა ნაკლებათ აქვთ გაგებული და შეგნებული ჩვენ სოფლის მოქალაქეთ. აგრეთვე ურმები იქ გადააქვთ გზაზე, სადაც ვინ მოისურვებს. პატარა მწყემსებს ტელეგრაფის ბოძებზე „ჭიქების“ მტვრევა სათამაშოთ აქვთ გადაქცეული. ყველა ამ უწესოების შესახებ მოსამსახურეებს ბევრჯელ აქვთ გამოცხადებული, მაგრამ ჯერ-ჯერობით ზომები ამ ანარქიის მოსასპობათ არსადა სჩანს. ამიტომ საჭიროთ მიმაჩნია: 1) ყველა საზოგადოების კომისრებმა გავლენა იქონიონ თავის საზოგადოების მოქალაქეებზე, რომ დაიცვან რკინის გზებზე წესრიგი. 2) სასტიკათ აუკრძალოს საქონლის ტარება როგორც რკინის გზაზე, ისე რკინის გზის საზღვრებში და როგორც საქონლის, ისე ურმების გადატარება არა დანიშნულ ადგილებში, რომლისთვისაც სპეციალურათ გადასავლელებია („პერეეზდები“) გაკეთებული. 3) აუკრძალოს აგრეთვე ყველა არა მოსამსახურეს რკინის გზაზე სიარული რკინის გზის უფროს ს ბ ნ კანდელაკის დეპეშის თანახმათ № 1048 ამ წლის 17 აგვისტოდან.

ვ. ნავროზაშვილი.

## ს.-დემ. პარტიაში

**ნავთლუღი.** 23 აგვისტოს შესდგა ორი „იაჩეიკის“ რკინის გზის მოხელეთა შეერთებული კრება ა. ჩიხლაძის თავმჯდომარეობით. მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ვ. კალანდაძემ. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომ საჭირო დემოკრატიული მთავრობა მტკიცე ნაბიჯით მიდიოდეს დასახულ მიზნისკენ.

ს. შუბლაძე.

---

**ხიდისთავი** (გურია). 22 მარიამობისთვეს შესდგა ხიდისთავის რაიონულ კოლექტივის სხდომა. პირველ რიგში კრება ისმენს მოხსენებას იაჩეიკებიდან. ირკვევა, რომ ზოგიერთ იაჩეიკებში პარტიული მუშაობა ვერ არის დაყენებული რიგიანად, რაიც უფრო ცხადათ ერობის არჩევნებმა დაგვანახვა. თან არ შემოდის საწევრო გადასახადი, ეწევიან საკუთარ ხარჯებს და სხვა. ყველა ეს მიეწერება ზოგ პარტიულ დისციპლინას მოკლებულ ამხანაგების მოქმედებას.

კრება ავალებს კოლექტივის მოლარე ფ. შ—იას ესტუმროს შემჩნეულ იაჩეიკებს, გააკეთოს სათანადო მოხსენება, გაეცნოს მიზეზებს, რომელიც მწყობრ მუშაობას ხელს უშლის და ყოველივე მოახსენოს კოლექტივის მორიგ კრებას.

შემდეგია სურსათის კითხვა. ორატორები ხაზ გასმით აღნიშნავენ, რომ ასე მწვავეთ სურსათის საკითხი ჯერ არ ყოფილა ჩვენს წინაშე დასმული. საჭიროა საჩქარო ზომების მიღება.

შემოდის წინადადება დასახელებულ იქნას ორი კაცი ეხლავე და მიეცეს წინადადება აღმასრულებელ კომიტეტს, რომ ეს ორი კაცი გაგზავნონ მთავრობასთან და ბასილეთის საზოგადოების სახელით აღძრან შუამდგომლობა, სიმინდის შესაძენად, მოკლე ვადიან სესხის აღების შესახებ.

დასახელებულ იქნენ ამხ. ბ. გ—ძე და ლ. კ—ძე.

გაირჩა სხვა წვრილმანი კითხვებიც.

ზ.

## პროვინცია

**ლანჩხუთი.** 11 აგვისტოს შესდგა ლანჩხუთის მოსამსახურეთა პროფ. კავშირის სასადილო „შრომის“ წევრთა საზოგადო კრება. დღიურ წესრიგში დასმული იყო შემდეგი კითხვები: 1) ექვსი თვის ანგარიშის განხილვა, 2) დივიდენდის განაწილება, 3) არჩევნები და სხ.

პირველად მოხსენება გააკეთა მუშაობისა და ანგარიშის შესახებ გამგეობის თავმჯდომარემ. გამოირკვა, რომ სასადილოს საქმე ჩინებულად მიდის, ანგარიშის მხრივ, დაცულია მოგების მინიმალური ნორმა, არის სისუფთავე, განაწილებულია შრომა და სხვა, საზოგადოება დიდი სიმპატიით ეპყრობა ამ სასადილოს. წარმოდგენილი ანგარიში სარევიზიო კომისიამ მოიწონა და დამტკიცებული ანგარიში თავის მხრივ წარმოადგინა. მთელი მოგებიდან 3,751 მ. 20 კ. გადადებულ იქნა სათადარიგო თანხაში, მხოლოდ დანარჩენი ჩაეწერა წევრთა წიგნაკებში და დარჩა ისევ საწარმოებლათ. გარდა ამისა კრებამ ასი მანეთი გადადვა ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ, პროფესიონ. კავშირის კასის გასაძლიერებლათ 150 მან. მუშათა პრესისათვის—70 მან. სახალხო სახლისათვის 150 მან. სამეურნეო წრეს 100 მან. მოსამსახურეებს ჯილდოთ—430 მან.

გამგეობაში არჩეულ იქნა შემდეგი ამხანაგები: მელ. ხუხუნაიშვილი, აკაკი ჩაჩავა და ლიდა ჩხაიძე, კანდიდატათ ლ. ურუშაძე. სარევიზიო კომისიაში: პავ. სარჯველაძე, ტერ. ორაგველიძე, ლიდა იმნაძე, კანდიდატათ ივ ჩაჩავა. მიღებულ იქნა განცხადება ექვ. ბოლდაძის წევრობიდან გასვლის შესახებ, რაიც ასაბუთებდა იმით, რომ ის არ არის დაქირავებული მუშა, როგორც არა წევრი კავშირის შეუფერებელი იქნება ჩემი წევრობაო, კრებამ ულრმესი მადლობა გამოუცხადა ხსენებულ პირს თავის ერთგულ სამსახურისთვის, რადგან ის იყო დამხმარე პირათ მოწვეული თვით პროფ. კავშირიდან—ეხლა კი ანთავისუფლებს და სთვლის საპატიო წევრათ.

პ

---

**ს. ჩიბათი** (გურია). დღევანდელი არევდარევისა და ანარქიის გამო სოფლის ცხოვრება და მართვა გამგეობა ძლიერ აწეწილ-დაწეწილია, რასაც ხელს უწყობენ ზოგიერთი სოფლის და რაიონის კომისრები, რომელნიც ვითომ დემოკრატიულ მთავრობას ემსახურებიან და ნამდვილათ კი განაგრძობენ ძველებურათ ხალხის ყვლეფას და მექრთამეობას, რაც იწვევს ხალხში ყოყმანს და მთავრობისადმი უნდობლობას.

მაგალითისათვის ავიღოთ ქ. ლანჩხუთის რაიონის კომისრის ბ-ნ ჩხვაძის მოქმედება. სოფ. ჩიბათის სოფლის კომისარიატში მსახურებდა მწერლათ შალ. კომახიძე. როდესაც გურიას და მასთან ჩვენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ოსმალეთის საფრთხე ედგა წინ და მისი შემოსევა ჩვენ განადგურებას გვპირდებოდა, შალ. კომახიძე სტოვებს მწერლის ადგილს და ფრონტზე მიეშურება სხვებთან ერთად ჩვენი თავისუფლების დასაცავათ, დარწმუნებული იმაში, რომ თუ ცოცხალი დაბრუნდებოდა, სოფლის კომისარიატში მისთვის მწერლის ადგილი მაშინვე ჩაბარდებოდა.

შეიკრა ზავი ოსმალეთთან და შალ. კომახიძეც დაბრუნდა თავის სოფელში, რომ შესდგომოდა თავის მოვალეობის ძველებურათ შესრულებას. მაგრამ მის ადგილზე მწერლათ მღ. ბარ. ჯორბენაძე მოეწვიათ. გაკვირებულმა მიმართა ბ-ნ ჩხვაძეს და გაახსენა, რომ მისთვის, კომახიძისთვის, ძველი ადგილი დაებრუნებინა, რომელსაც ის რამოდენიმე თვის განმავლობაში უმწიკვლოთ და პირნათლათ ასრულებდა. ბ-ნმა ჩხვაძემ დაამშვიდა შ. კომახიძე და უთხრა, რომ საქმე ამ ცოტა ხანში მოგვარდება და თქვენს ადგილს დაგიბრუნებთო, რამოდენიმე ხნის შემდეგ კიდევ მიმართა კომისარს, რაზედაც მან ასე უპასუხა: „მამაშენს ენახავ და საქმეს მოვაგვარებთო“. ამ რიგათ ოთხი თვე გადის და პასუხი კი არ ვითარია ბ ნ ჩხვაძისაგან, მიუხედავათ იმისა, რომ ბ ნ ჩხვაძეს მაზრის კომისარის მოწერილობა მოუვიდა—დაუყონებლივ მწერლის ადგილი კომახიძისათვის ჩაებარებია და ეცნობებია, თუ ვისი განკარგულებით იყო მღ. ბარ. ჯორბენაძე მწერლის ადგილზე დაყენებული. ამანაც არ გასჭრა. როდესაც კომახიძის მამა მივიდა რაიონის კომისართან და სთხოვა, რომ მისი შვილი მიეღო ძველ მის ადგილზე, ბ-ნმა ჩხვაძემ მამას ასეთი პასუხი მისცა: „მართალია შენი შვილი საქმეს კარგათ ასრულებს, მაგრამ „პრაქტიკა“ აკლიაო.

ბოლოს მაზრის კომისრის განკარგულებით კომახიძე მიღებულ იქნა თავის ძველ ადგილზე, რაც ჩიბათის სოფლის კომისარმა აცნობა რაიონის კომისარს ბ-ნ ჩხვაძეს, რომელმაც უყურადღებოთ დასტოვა მაზრის კომისარის განკარგულება და დღესაც კომახიძის ადგილზე ისევ მღ. ბ. ჯორბენაძე არის. ტყუილათ კი არ უთქვამთ: „ხელი ხელს ბანს და ორივე კი პირსო“. დღეს შალ. კომახიძე მაზრის განკარგულებით თავის ადგილზეა დანიშნული, მაგრამ ბ-ნ ჩხვაძის წყალობით მას ადგილზე არ უშვებენ მინდა შევეკითხო მაზრის კომისარს: როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი თვითნებობა, როგორც ლანჩხუთის რაიონის კომისარი იჩენს და არის თუ არა ამ ვაჟბატონისათვის სავალდებულო მაზრის კომისარის განკარგულება?

ჭინათელი.

---

**ეწერი და იანეთი** (ქუთ. მაზ.). გასულ წელს საზოგადოებებში შესდგა სასკოლო კომიტეტები, რომელთა უფლებაში იყო მასწავლებელთა მოწვევა, მაგრამ ზოგმა სასკოლო კომიტეტებმა და მოინტელიგენტო პირებმა ეს ცუდათ გაიგეს და მოინდომეს ბოროტათ გამოეყენებინათ თავიანთი უფლება. გასულ წელს ზემოხსენებულ სოფლებში სანამდე სასკოლო კომიტეტები დაარსდებოდა ადგილობრივ მოინტელიგენტო პირებმა მოინდომეს ძველი მასწავლებლების გაძევება და მათი ადგილების დაკავება, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს და გაჩუმდნენ, ვინაიდან მასწავლებლებს არავითარი დანაშაული არ მიუძღოდათ. წელს კი ეწერში შესდგა რაღაც კომისია კომიტეტის გარეშე და მასწავლებლებს სთხოვენ პირობას დარჩებიან თუ არა?

მათ ყველა მასწავლებლები გადაყენებულათ გამოუცხადებიათ, რაც არ შედის მათ უფლებაში, მაგრამ ეს იმ მოინტელიგენტო პირების ბრალია, რომლებიც უადგილოთ არიან დარჩენილნი და ფიქრობენ განთავისუფლებულ ადგილების დაკავებას; ეს მოვლენა მასწავლებლებს ჩირქს სცხებს.

მეთვალყურე.

---

**ბორჯომი.** 17 აგვისტოს მოხდა ბორჯომის ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის კრება, რომელზედაც გარდა გამგეობის წევრებისა დაესწრნენ აგრეთვე გარეშე დაინტერესებული პირნიც. კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ ექ. ს. კანდელაკმა, რომელმაც გააცნო კრებას კრების მოწვევის მიზეზი. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: ფინანსიური მხარე საზოგადოებისა, წიგნის საწყობის გახსნა, ჟურნალ გაზეთების აგენტურის მოწყობა, მაღაზიისათვის ბინის მოძებნა და სხვა მიმდინარე კითხვები. ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კრებამ დაადგინა 1 ენკენისთვის სეირნობის გამართვა. წიგნის საწყობის გახსნის შესახებ კრებამ აირჩია 3 პირისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა აგრეთვე ბინის და სტამბის შეძენის საქმეც. ამის გარდა კრებამ აირჩია სასცენო სექცია, რომელიც დრო გამოშვებით გამართავს წარმოდგენებს, რომლის შემოსავალი უმთავრესად უნდა მოხმარდეს მუშათა კლუბს. სექციის ხელმძღვანელობა დაევალა ამ. გრ. ურუშაძეს.

ჟურნალ-გაზეთების აგენტურის მოწყობა კრებამ დაავალა საზოგადოების გამგეობას.

კრებამ გაარჩია თუ რა ზომები მიეღო ხოლერის წინაამდეგ. ხოლერა უმთავრესად გავრცელებულია მუშათა უბნებში. უკვე მიღებული ზომები, როგორიცაა აცრა, დეზინფექცია და სხვა სასურველ ნაყოფს ვერ იღებს, ვინაიდან შეუგნებელი ხალხი ყოველივე ამას ჯერ-ჯერობით გაურბის. დასასრულ კრებამ პროტესტი გამოუცხადა საზოგადოების წევრს მიხ. გერმანიშვილს, რომელმაც ცილი დასწამა საზოგადოების ხაზინადარს.

ნოდე.

---

**ხონი.** ანარქიამ ხონის რაიონში დიდიხანია იჩინა თავი. ეს რაიონი შესდგება ექვსი საზოგადოებისაგან. ამათში ორი საზოგადოება: გვაშტიბის და წყალტუბოს ჯერ კიდევ აპრილში ჩამოშორდა რაიონს და ფრონტიდან დაბრუნებულ „ბალშევიკ“ ჯარის კაცების სამფლობელოთ გადაიქცა. ეს ორი საზოგადოება კულტურულათ რაიონის ყველა საზოგადოებებზე დაბლა დგანან. როდესაც მაისში ღლონტის რაზმი ჩამოვიდა აქ იარაღის ასაყრელათ, გვაშტიბის „ბალშევიკებმა“ მას ბრძოლა გაუმართეს და ადგილობრივ მთებში გამაგრდენ. ღლონტის რაზმმა ადვილათ სძლია იგინი, მაგრამ რადგან რაზმი საჩქაროთ იძულებული იყო წასულიყო სამეგრელოში, გვაშტიბის „ბალშევიკებმა“ ისევ ჩაიგდეს ხელში ეს საზოგადოება. ივნისში სოფელ გორდში, რომელიც 12 ვერსის მანძილით არის დაშორებული ხონზე, ციხიდან გაქცეულმა საშა გეგეჭკორმა „საბჭოთა ჯარების“ მთავარი შტაბი მოაწყო. მის გარშემო შემოიკრიბა ნახახულევის და ხონის რაიონის „მობალშევიკო“ პირები, რომლებიც მთელი ერთი თვის განმავლობაში თავისუფლათ დათარეშობდენ ახლო-მახლო სოფლებში. როდესაც მათ წაართვეს მცხოვრებლებს ყოველივე, რის წართმევაც კი შეიძლებოდა, და თან ხედავდენ, რომ ხალხში მათდამი უკმაყოფილება თანდათან აშკარა ხდებოდა, დასტოვეს გორდი და კავკავისაკენ გაემგზავრენ. გეგეჭკორის წასვლის შემდეგ გორდს მოევლინა ნაკატორღალ ყაჩაღი ხუკომია. თავისი მოღვაწეობა მან დაიწყო იქიდან, რომ გაძარცვა ადგილობრივი კოოპერატივი და რამოდენიმე შეძლებული მცხოვრებლები და თავისი თავი „ბალშევიკათ“ გამოაცხადა. მთელ ხონის რაიონს მოედვა ნამდვილი ანარქიის ცეცხლი. გახშირდა ძარცვა-გლეჯა. ხონის რაიონის ყველა საზოგადოებებში გამოჩნდენ ავაზაკთა ბანდები. განსაკუთრებით მათ დაიწყეს თარეში ნახახულევის და გვაშტიბის საზოგადოებებში, რომლებიც უფრო ახლო მდებარეობენ გორდთან. სოფელ მათხოჯში ისინი დაეცენ საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარეს მელაძეს და მასწავლებელ წიწვიძეს. ამის შემდეგ საფრთხეში ჩავარდა თვით ხონი. ის გარშემო შემორტყმული შეიქნა ბანდებისაგან. საბედნიეროთ 8 აგვისტოს ხონს ეწვია სამტრედიის სახალხო რაზმის ნაწილი და აგრეთვე ნაწილი რეგულიარული ჯარისა ვ. ჯიბლაძის ხელმძღვანელობით. რაზმის ჩამოსვლამ დიდი გავლენა მოახდინა ბანდებზე. ისინი თავდასხმისაგან თავდაცვაზე გადავიდენ.

ჩამოსულ რაზმს შეუერთდა ადგილობრივ მცხოვრებისაგან მოხალისეთა ჯგუფები. ორი დღის ხონში დასვენების შემდეგ, რაზმი გაემართა სოფ. მათხოჯისაკენ, რომელიც ძევს გორდის გზაზე. რაზმის მამაცურმა მოქმედებამ ამ ერთი კვირის განმავლობაში თითქმის სრულებით გაწმინდა ბანდებისაგან ხონის რაიონი. დაამარცხა რა ბანდები რამოდენიმე ადგილას, მან დაიკავა ბომბუცას ხიდი, რომელიც საზღვრავს გორდს ხონიდან. ამ ხიდის დაკავებას მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ გადის გზა, რომელიც აერთებს ლეჩხუმს სამეგრელოსთან. გზის დაკავება სწყვეტს ლეჩხუმის „ბალშევიკთ“ სამეგრელოში მოთარეშე ბანდებისაგან. ჩვენი რაზმი მიიწევს წინ გორდისაკენ. არავითარი მსხვერპლი, არც დაჭრილი, არც მოკლული, მას ჯერ არა აქვს.

ბ.

---

**წინანდალი** (კახეთი) ძველი რეჟიმის ნაძირალები გაფანტულნი არიან საქართველოს პროვინციებში და ხან აშკარად, ხან ჩუმად თავიანთ სოროებში დაუცხრომელ მუშაობას ეწევიან. რაც დრო მიდის ისინი უფრო და უფრო გაბედვით მოქმედებენ და არ ერიდებიან თავიანთ ფიზიანომიის ჩვენებას. ერთ ამგვარ პროვინციაში, სახელდობ წინანდალში ყოფილ საუფლისწულო ეხლა კი ნაციონალურ სახალხო მამულში აქვს ადგილი ასეთ გარემოებას.

16 აგვისტოს ადგილობრივ მუშათა საბჭომ მიიწვია კრებაზე ექიმ ანდენის ვაჟი, რომელიც არა ერთხელ ყოფილა შემჩნეული ანტირევოლიციონურ გამოსვლაში, მათ პარტიათა შეურაცყოფაში, მუშათა დამცირებაში და ჰიმნის „ღმერთო ფარვიდე მეფესო“—სიმღერაში მუშათა მოთმინების ფიალა აივსო და ის მოიწვიეს კრებაზე, რათა გამოერკვიათ თუ რა მიზანი ქონდა ყოველივე ამას. მუშებმა ხსენებული ექიმის ვაჟი მეტად ზრდილობიანათ მიიღეს, დარიგება მისცეს და შეაგნებიეს, რომ ყოველივე ეს მას არ შეეფერება. ყმაწვილმა ბოდიში მოიხადა და აღუთქვა, რომ ეს პირველი და უკანასკნელი იქნება. როდესაც კრება დაიშალა ყველანი შინ გავეშურეთ. ექიმ ანდენს გაეგია რა, რომ მისი ვაჟი კრებას ბოდიშის მოსახდელად მიუწვევია, გაცხარებულა და გამოვარდნილა კრების თავმჯდომარესთან მოსალაპარაკებლად. მშვიდ მოლაპარაკებისა და საქმის ვითარების გამორკვევის მაგივრათ, ექიმი ვანდენი გაცხარებით ყვიროდა: რა ნება გაქვთ თქენ, მუშებს, რომ ჩემს ვაჟს იწვევთ კრებაზე და ასამართლებთ? (უნდა აღენიშნო, რომ მას შვილისთვის დაუშლია კრებაზე გამოცხადება და ისიც დაუმატებია, თუ წახვიდე მიაფურთხე და წამოდიო). ვინ ხართ და რა ხართ თქვენო, ჩვენ ამდენი (რუსის ქვეშეც გერმანელია) გერმანელების ქვეშევდომები ვართ და თვენი სამართალი ჩვენთვის არ არსებობს, ჩვენ ჩვენივე გაგვასამართლებსო. თქვენი რესპუბლიკა, თქვენი თავისუფლება სად არის, თქვენ გერმანელთა მუშტის ქვეშ ხართ, თქვენ გერმანელთა ხონა ხართ და გაჩვენებთ როგორც უნდა გასამართლებაო“. ჩვენ იქ მყოფთ არ შეგვეძლო გულგრილად გვეყურებია და გვესმინა ყოველივე ეს. მამა შვილნი შეიარაღებულნი იმუქრებოდენ და რომ არა ადგილობრივ მილიციონერის სიმამაცე, ადვილი შესაძლებელი იყო სისხლი დაღვრილიყო. რა თქმა უნდა, იქნა მიღებული შესაფერისი ზომები ადგილობრივ კომისარისაგან და საქმის გამოძიება სწარმოებს. რაც შეეხება ამის შემდეგ მისი აქ სამსახურის გაგრძელება წარმოუდგენელია, რადგან მუშები მას უნდობლობას უცხადებენ და მოითხოვენ სხვა ექიმს. მუშებს უწინაც მოუთხოვიათ ექიმ ანდენის გამოცვლა. ასეთი ნაძირალები, შავრაზმელები ჩვენს ახალგაზრდა რესპუბლიკას არა მარტო წინანდალში ჰყავს. საჭიროა მათი ალაგმვა. ასეთი შავრაზმელი პირები წყალს ამღვრევენ, მუშებსა და გლეხებთა შორის პროვოკაციას ეწევიან და ძირს უთხრიან ახალგაზრდა საქართველოს. მათ სურთ დასთესონ შუღლი ქართველებსა და გერმანელებთა შორის და საძირკველი გამოუთხარონ ახალ შენობას.

საჭიროა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება პროვინციებს, ჰყავდეს მათ მუდმივი დარაჯი უფლებებით აღჭურვილი, რათა მან დაიცვას მუშები და გლეხები ასეთ არასასურველ პირთა გავლენისაგან, როგორიც არის ექიმი ანდენი და სხვა მოხელეებიც, რომელნიც ასეთ ამბებს გულ-გრილად იტანენ.

X.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ეს წერილი მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ერთობის“ მახლობელ ნომერში. 23 აგვისტოს მე ჩამოვედი სოფ. ზეთლევიდან (რაჭა) თფილისში. თან წამომყვა ამავე მაზრის სოფელ შხივანის მცხოვრები სილო იოსების ძე სირაძე. თფილისში ჩამოსვლისას მან თავის სახლში მიმიპატიჟა (ბათუმის ქ., ს. № 28). მეორე დღეს, როდესაც მე სხვაგან წავედი, ს. სირაძემ ყველაფერი სოფლიდან ჩამოტანილი მომპარა და გაჰყიდა. სხვა ნივთებთან ერთად მან მომპარა და გამყიდა „ფრენჩი“ შალისგან შეკერილი. შიგ ჩემი დოკუმენტები იყო. ვსთხოვ, ვინც იყიდა ან შეხვდა, დოკუმენტები დამიბრუნოს ამ მისამართით: თფილისი, მეჯვევაია ქ., სახ. № 36.

იოანე ნესტორის ძე სირაძე.

---

დიდათ პატივცემულო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთ „ერთობა-“ში ამ ჩემს წერილს პასუხად ბ. დეპოლისა.

წავიკითხე 25 აგვისტოს „ერთობის“ № 180 ში, სადაც ვინმე დეპოლი სწერს: „ზოგმა რკინის გზის მოსამსახურეებმა ნორმასაც გადააჭარბეს და უპატიოსნობასაც და გაჭირვებულ მუშის სახელის მატარებელი პირველი ხარისხის სპეკულიანტები გახდნენ და თან თანამშრომლები აღერბეიჯანის მთავრობისა. ასეთში პირველი ადგილი დაიჭირეს დეპოს მემანქანე გაგლოევმა და სხვამაო“.

საზოგადოდ სპეკულიაციას რა ხასიათი აქვს და რა საზიანო სახეს ატარებს სახელმწიფო ცხოვრებაში, ეს ყველას კარგა ეყურება, როგორც ბ. დეპოლს, ისე გაგლოევს და ყველა შეგნებული ამხანაგი მუშა იმის ცდაშია, რომ იყოს მართებული და შემასრულებელი და ხელის შემწყობი ჩვენი ახალი ნორჩი რესპუბლიკისა და არა თანამშრომელი სხვა სახელმწიფოსი. ყველა, ვინც კი წაიკითხავდა ამ წერილს, ძალა-უნებურად იტყოდა: აი სისაძაგლე და გამყიდველობა, მაგრამ ვერ გაარჩევდა, თუ რომელი ცოდო ვის ეკუთვნოდა.

ვსთხოვ პატივცემულ დეპოლს, უკეთუ მე ვარ „პირველი ხარისხის სპეკულიანტი“, გაისარჯოს და აცნობოს ფართე საზოგადოებას ჩემი საკუთარი საქმენი სპეკულიაციის შესახებ. მე კი ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ, რაც ორთქლმავალში იპოვეს, ამაში არიან პასუხისმგებელნი ის პირნი, ვის განკარგულებაშიაც არის ორთქლმავალი და არა გაგლოევი, რომელიც მისდევდა ვაგონით და, რაც შეეხება იმას,—ვარ თუ არა სინდისიერი შემასრულებელი ჩემი მოვალეობისა, ჩვენება ამის შესახებ შეუძლიათ მოგცენ ჩვენმა პირდაპირმა უფროსებმა. რა მოსაზრებით დასჭირდა ბ. დეპოლს ჩემი ჩარევა გაზეთში მოხსენებულ იმ პირებში?

გ. გაგლოევი.

ქართულ კლუბში კვირას, 1 სექტემბერს, დანიშნულია
ჰიმნის შეჯიბრება
ქართველთა სამხედრო კავშირის
გაძლიერებული გუნდი ნ. ზ. ქართველიშვილის ლოტბარობით შეასრულებს ორ განყოფილებაში ქართველ კომპოზიტორთა ჰ მნებს.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ბილეთები დღეიდანვე იყიდება კლუბის კასაში.
(2—1)

ქალ. ქუთაისში
(მიხეილის ქუჩაზე, წითელ ხიდთან)
ქირურგიული და ქალთა სნეულების საავათმყოფო სამუდმივო განყოფილებით.
დასაწოლ ავათმყოფს იღებენ ყოველ დროს. (24—15)

ექიმი ა. ფ. მგალობლიშვილი
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს დილის 9—11 და საღამოს 5—7 [illegible] ქუჩა 21. ტელ. [illegible]

ექვთიმე არსენის ძე წულუძე მსახურობდა სტავროპოლის გუბერნიაში გლაგოდარნაია მაზრის კომისრათ. ამა წლის იანვრიდან ჭირისუფლებმა მის შესახებ არაფერი ვიცით. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, ვსთხოვ პირად ან წერილობით გვაცნობოს „ერთობის“ ან „ბორბის“ რედაქციაში ვ. წულუძეს. (5—4)

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნ-ტის
მ. გოლდშტეინი
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი ჰოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა
თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 12—2 საათამდე და 4—8 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა № 32.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, საზებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალის კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 14 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96

სამკურნალო კაბინეტი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ექიმი ი. ზ. კონიევი.
იღებს შინაგან სნეულებით ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდისუბნის ქ. № 3. (24—15)

კერძო
მიხეილის სამკურნალო
მუდმივი ლოგინებით. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167.

ექიმი ზ. მ. მუხაძე
იღებს სადლოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: ლადო მთავრის ქ. № 57; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სეხნიაშვილისა. ტელ. № 5—77

ექიმი ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლათ.

მედ. ქალი რ. ბ. ზიშლო-საბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 14—74

## ტრამვაი

აუწყებს ქალ. თფილისის მოქალაქეებს, რომ 31 აგვისტოდან თანახმად საბჭოს 12 აგვისტოს სხდომის დადგენილებისა, ადიდებს ტარიფს 50%.

ამის გამო 50 კაპეიკიანი ბილეთი გაიყიდება 75 კაპ.
30 „ „ „ 45 „
20 „ „ „ 30 „ (3—1)

სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის ვრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.